კახეთში ოცი თემის საჭიროებების კვლევა

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

კახეთში ოსი თემის საჭიროებების კვლევა

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

თბილისი, 2023

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Federal Department of Foreign Affairs FDFA

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

კვლევა მომზადდა პროექტის „საქართველოში თანასწორობის, სოლიდარობის და სოციალური მშვიდობის მხარდაჭერა“ ფარგლებში, რომელსაც საქართველოში შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით, სოციალური სამართლიანობის ცენტრი ახორციელებს.

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი და და შესაძლოა ის არ გამოხატავდეს შვეიცარიის საელჩოს პოზიციას.

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე

ავტორი: ოჩი კონცელიძე

რედაქტორი: ნინო ბექიშვილი

ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ოჩი კონცელიძე, „კახეთში ოსი თემის საჭიროებების კვლევა“, 2023*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

https://socialjustice.org.ge/

info@socialjustice.org.ge

https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

კვლევის მეთოდოლოგია 4

რესპონდენტების სოციალური და ეკონომიკური პროფილი 5

ოსების დემოგრაფია 5

სოფლების ძირითადი საჭიროებები 7

საჭიროებები სოფლების წიწკანაანთსერის და ყიტაანის მაგალითებზე 8

ოსური იდენტობა 11

ოსური ენა 13

1990-იანებში მომხდარი კონფლიქტის გამოცდილებები 14

მიგრაცია; კავშირები ჩრდილოეთ ოსეთთან და ცხინვალის რეგიონთან 20

დასკვნა 23

რეკომენდაციები 25

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანი იყო კახეთის სოფლებში ოსებით კომპაქტურად დასახლებული მოსახლეობის საჭიროებების (საგანმანათლებლო, კულტურული, სოციალური და ა.შ.) შესწავლა. თუმცა, კვლევამ დაფარა სხვა საკითხებიც. კერძოდ, ოსი თემის:

- იდენტობის მახასიათებლები;
- 1990-იანებში მომხდარი კონფლიქტის შედეგად მიღებული გამოცდილებები;
- მიგრაციის მიზეზები და კავშირები ცხინვალის რეგიონთან და ჩრდილოეთ ოსეთთან.

კვლევის მეთოდი

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი - სიღრმისეული ინტერვიუ. ჯამში ჩატარდა 18 ინდივიდუალური და 7 ჯგუფური ინტერვიუ და გამოიკითხა 39 რესპონდენტი ოსებით კომპაქტურად დასახლებულ 7 სოფელში. რესპონდენტებს შორის იყვნენ სხვადასხვა ასაკის და სქესის წარმომადგენლები. ყველაზე ახალგაზრდა რესპონდენტი 18 წლის იყო, ხოლო ყველაზე უფროსი – 80-ის. ინფორმაცია სოფლების მიხედვით ინტერვიუების რაოდენობების შესახებ იხილეთ ცხრილში #1. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა ღია კითხვებისგან შედგენილი ინტერვიუს გზამკვლევი.

ცხრილი #1

სოფელი / მუნიციპალიტეტი	ინტერვიუების რაოდენობა	რესპონდენტთა რაოდენობა
არეშფერანი (ლაგოდეხი)	5	7
ხეჩილი; ფონა (ლაგოდეხი)	5	10
ყიტაანი (გურჯაანი)	4	4
წიწკანაანთსერი (ყვარელი)	5	7
ფიჩხოვანი, არგოხი (ახმეტა)	6	11
ჯამი	**25**	**39**

საველე სამუშაოები

საველე სამუშაოები ჩატარდა 2023 წლის აგვისტოში, რესპონდენტების საცხოვრებელ გარემოში, პირისპირ ფორმატში. ინტერვიუების ჩაწერა მოხდა აუდიო საშუალებით.

მონაცემთა ანალიზი: ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი რამდენიმე საფეხურად განხორციელდა: პირველ ეტაპზე გაიშიფრა ჩანაწერები და მომზადდა ტრანსკრიპტები. შემდეგი ეტაპი მოიცავდა მონაცემების კოდირება/კატეგორიზაციას. ხოლო ანალიზის

საბოლოო ეტაპზე მოხდა სტრუქტურირებული შინაარსის ლოკალური და ინკლუზიური ინტეგრაცია, რის საფუძველზეც მომზადდა ანალიტიკური ანგარიში.

რესპონდენტების სოციალური და ეკონომიკური პროფილი

გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა. კერძოდ, ამუშავებენ მიწას, უვლიან ხეხილს, მოჰყავთ ბოსტნეული, ხორბალი, სიმინდი და ა.შ. მცირეა იმ ოჯახების რაოდენობა, რომელიც მისდევენ მესაქონლეობას. სოფლის მეურნეობის შედეგად მიღებული მოსავალი ძირითადად ოჯახისთვის მოიხმარება და ნაკლებად ხდება მოსავლის რეალიზაცია. გამონაკლისს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი ყიტაანი წარმოადგენს, სადაც მოსახლეობას ხეხილი (ატამი, გარგარი, ბალი და ა.შ.) ძირითადად გასაყიდად მოჰყავს. სოფელში არსებობს ხილის გადამამუშავებელი საწყობები და სამაცივრე მეურნეობები, სადაც მიღებული მოსავალი ინახება ზამთრის პერიოდში – *„სოფელში რომ მოდიოდით, გზაზე შეამჩნევდით ხილის გადამამუშავებელ საწყობებს. რამდენადაც ვიცი, 98 პროცენტი სამაცივრე მეურნეობები არის სოფლების ჩუმლაყისა და ყიტაანის ტერიტორიაზე“ (55 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი).*

სოფლებში კაცები ძირითადად საქმდებიან მშენებლობის სექტორში სხვადასხვა პოზიციებზე (მუშა, მლესავი, მღებავი და ა.შ). გავრცელებულია სეზონურ სამუშაოებზე დასაქმება, სადაც როგორც კაცები, ისე ქალები საქმდებიან (მაგ: მიწაზე საგაზაფხულო სამუშაოები, მოსავლის აღება (თხილი, რთველი, საზამთრო) და ა.შ.). სოფლის მცხოვრებლების მცირე ნაწილი საჯარო სექტორში მუშაობს (საჯარო სკოლა, საბავშვო ბაღი, ეროვნული სატყეო სააგენტო). ოჯახებისთვის სტაბილური ყოველთვიური ფინანსური შემოსავალი სახელმწიფო პენსიაა, ხოლო სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის – სოციალური დახმარება. ორმაგი მოქალაქეობის მქონე საპენსიო ასაკის მოსახლეობის ნაწილი პენსიას როგორც საქართველოში, ისე რუსეთის ფედერაციაში იღებს. საგულისხმოა ის, რომ ინტერვიუების დროს რესპონდენტებს შემოსავლის წყაროდ არ დაუსახელებიათ ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ახლო ნათესავებისგან მიღებული ფულადი გზავნილები. აგრეთვე, არ გამოვლენილა ახალგაზრდების ყოფნა ცირკულარულ შრომით მიგრაციაში.

ოსების დემოგრაფია

1989 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, საბჭოთა საქართველოში 164,055 ოსი ცხოვრობდა, მათგან სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ნახევარზე ნაკლები – 48,146 მცხოვრები იყო. 2002 წლის აღწერის მონაცემით, საქართველოში ცხოვრობდა 38, 028 ოსი (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა), ხოლო, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების თანახმად, ოსების რაოდენობა 14,385-ია.[1] სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ ბოლო 30 წლის მანძილზე დრამატულად შემცირდა ოსი მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში.

[1] გასათვალისწინებელია, რომ 2008 წლის ომის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ კონტროლი დაკარგა ახალგორის რეგიონზე

საქართველოს რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი ოსი ცხოვრობს შიდა ქართლში (4 668), ოდნავ ნაკლები თბილისში (4 313) და კახეთში (2 526)[2]. კახეთში ოსები კომპაქტურად დასახლებულები არიან ახმეტის, ლაგოდეხის, გურჯაანის და ყვარლის მუნიციპალიტეტების სოფლებში. ცხრილში #2 მოცემულია ინფორმაცია კახეთის იმ სოფლების შესახებ, სადაც, 2014 მოსახლეობის აღწერის მიხედვით ეთნიკურად ოსი მოსახლეობის წილი აღემატება 20%-ს.

ცხრილი #2

მუნიციპალიტეტი	სოფელი	სოფლის მოსახლეობის რაოდენობა (2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგები)	ოსი მოსახლეობის პროცენტული წილი (2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგები)
გურჯაანი	ყიტაანი	271	72%
ლაგოდეხი	ზემო ბოლქვი	272	59.6%
ახმეტა	არგოხი	224	51.8%
ლაგოდეხი	ქვემო ფონა	133	48.8%
ლაგოდეხი	ქვემო ბოლქვი	132	48.5%
ახმეტა	ფიჩხოვანი	286	48.3%
ლაგოდეხი	ზემო ფონა	92	47.8%
ყვარელი	წიწკანაანთსერი	419	43.4%
ლაგოდეხი	ქვემო ხეჩილი	160	40%
ახემტა	ახალშენი	337	35.6%
ლაგოდეხი	ლაფნიანი	118	29.7%
ლაგოდეხი	არეშფერანი	278	28.4%
ახემტა	ახშნისველები	227	27.8%
ლაგოდეხი	ზემო ხეჩილი	47	27.6%
ლაგოდეხი	ვერხვის მინდორი	156	25.3%
ლაგოდეხი	ფიჩხისბოგირი	84	22.6%
ლაგოდეხი	ხოშატიანი	129	20.9%

რესპონდენტების ინფორმაციით, კახეთში ოსები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში დასახლდნენ -*„თვითონ, ურმებით, წინასწარ ჩამოდიოდნენ, ადგილს ნახულობდნენ, ყიდულობდნენ და მერე ნათესავები ჩამოჰყავდათ“ (80 წლის კაცი; სოფელი არგოხი; ახმეტის მუნიციპალიტეტი).* აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მმართველობის პერიოდში კახეთის ოსურ სოფლებში ეთნიკური ოსები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ. დემოგრაფია არსებითად შეიცვალა 1990 წლის შემდგომ,

[2] 2014 წლის მონაცემები; საქსტატი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/739/demografiuli-da-sotsialuri-makhasiateblebi

როდესაც ოსებმა ერთბაშად და მასობრივად დატოვეს საკუთარი საცხოვრებელი სახლები. დღესდღეობით, ისტორიულად ოსურ სოფლებად ცნობილი დასახლებების უმრავლესობაში, ოსები შეადგენენ მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს, ან ნახევარზე ნაკლებს. გამონაკლისს წარმოადგენს სოფელი ყიტაანი (გურჯაანის მუნიციპალიტეტი), სადაც გამოკვეთილი უმრავლესობა ეთნიკური ოსია (იხილეთ, ცხრილი #2).

სოფლებში ძირითადად ცხოვრობენ საშუალო და ხანდაზმული ასაკის ოსები. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სოფლებიდან ოსების მიგრაციას შეუქცევადი ხასიათი აქვს. ერთ დროს, ოსების კუთვნილ საცხოვრებელ სახლებში ცხოვრობენ ქართველები ეკომიგრანტები სვანეთიდან და აჭარიდან, რომლებისთვისაც საცხოვრებელი სახლები სახელმწიფომ ოსებისგან 2006-2007 წლებში შეისყიდა. აღსანიშნავია, რომ ლაგოდეხის სოფლებში ფონასა და ხეჩილში ეთნიკური ოსებისა და ქართველების გარდა, ცხოვრობენ აზერბაიჯანელებიც. რესპონდენტების თქმით, აზერბაიჯანელებმა სოფლებში დასახლება 10-15 წლის წინ დაიწყეს და ემიგრანტი ოსებისგან იძენენ მიტოვებულ სახლებს. საქმე ისაა, რომ ხეჩილისა და ფონის სოფლების მახლობლად მდებარეობს სოფელი კაბალი 3,238 აზერბაიჯანელი მოსახლეობით (99.4%; 2014 მონაცემი), რომელიც ფართოვდება და ამიტომ ოსების საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების მიმართ ინტერესი მაღალია. როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, ოსების სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან (ქართველებთან, აზერბაიჯანელებთან) ურთიერთობა დისტანციურია.

> *„აზერბაიჯანელები აზერბაიჯანელებთან იკრიბებიან, ხოლო აჭარლები აჭარლებთან. ოსები ყველაზე ცოტანი ვართ უკვე ამ სოფელში“ (70 წლის ქალი; სოფელი ხეჩილი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი).*

> *„თანაცხოვრება ნორმალურია. როგორც კორპუსებში ცხოვრობენ, ისეა აქაც. ყველა თავისთვის არის“ (73 წლის კაცი; სოფელი ხეჩილი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი).*

სოფლების ძირითადი საჭიროებები

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სოფლებს, როგორც საერთო, ისე ერთმანეთისგან განსხვავებული საჭიროებები აქვთ. საერთო საჭიროებებს შორის აღსანიშნავია სოფლის გზების რეაბილიტაცია, საძოვრების მოწყობა, სარწყავი და სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა, იურიდიული მომსახურება და ა.შ. სპეციფიკურია შემდეგი საჭიროებები – ეკოლოგიური გარემოს მოწესრიგება (სოფ. წიწკანაანთსერი), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაცემა (სოფ. წიწკანაანთსერი), სკოლის ფუნქციონირების აღდგენა (სოფ. ყიტაანი) და ელექტროენერგიის უწყვეტად მიწოდება (სოფ. ყიტაანი). სოფლებისთვის განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენს საძოვრების არქონა ან არასაკმარისი რაოდენობა, რაც თემთა შორის კონფლიქტის მიზეზიც კი ხდება ხოლმე. პრობლემას წარმოადგენს სარწყავი წყლის არქონა, რის გამოც სოფლის მოსახლეობა სოფლის მეურნეობას სათანადოდ ვერ უძღვება. დანართში #1 მოცემულია საჭიროებები სოფლების მიხედვით.

სოფლის საჭიროებებზე საუბრისას, რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს სოფლის რწმუნებულის როლსა და პასუხისმგებლობაზე. რესპონდენტებს აქვთ სოფლის რწმუნებულის საკონტაქტო ინფორმაცია და უკავშირდებიან საჭიროების შემთხვევაში. თუმცა, სოფლის რწმუნებულის ფუნქციები შეზღუდულია და გამოიხატება მუნიციპალურ ორგანოებში მოსახლეობის საჭიროებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში – *„ინფორმაცია მიაქვს გამგეობაში. შუამავალია“ (63 წლის ქალი; ხეჩილი;*

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი). სოფლებს ჰყოლიათ წარმომადგენლად ეთნიკურად ოსი რწმუნებული. თუმცა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ სოფლები ისეა გაერთიანებული, რომ სრულად ოსური თემი არ არსებობს და ამდენად თემს თვითმმართველობის ორგანოებში ძირითადად უმრავლესობას ქართველები წარმოადგენს. სოფლის მცხოვრებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა პასიურია და სხვა სოფლებთან შედარებით ნაკლებად მომთხოვნია ხელისუფლების მიმართ. მოსახლეობის პასიურობის მიზეზებად დასახელდა: 1) სოფლების ოსი მოსახლეობის დაბერება; კერძოდ, სოფლებში ძირითადად ხანდაზმულები ცხოვრობენ, რომლებიც, მათი მდგომარეობის (ჯანმრთელობის პრობლემები, სამომავლო გეგმების არქონა და ა.შ) გამო უფრო პასიურები არიან; 2) 1990-იანი წლების დასაწყისში მიღებული ტრავმული გამოცდილებები, რის გამოც ოსები ერიდებიან აქტიურობასა და თვითინიციატივას – *„1990-იანების ამბების გამო არ არიან აქტიურები. თავის დროზე ხმა რომ აემაღლებინათ, სკოლას არ გააუქმებდნენ სოფელში“ (55 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი);* 3) მმართველი პარტიის („ქართული ოცნება“) მიერ სოფლებში კოორდინატორების გზით მოსახლეობის განწყობებზე გავლენის მოხდენა; მმართველი პარტიის კოორდინატორები ადგილობრივ მოსახლეობაში აზრის შემქმნელები არიან, გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობენ და შესაბამისად, გავლენას ახდენენ მოსახლეობის დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, არჩევნებზე, მმართველი პარტია სოფელში იღებს ხმების 90%-ზე მეტს.

რესპონდენტებმა კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტები დაასახელეს, რომლებიც ხელისუფლებამ განახორციელა ბოლო წლებში. მათ შორის დასახელდა სოფლებში ცენტრალური გზების გაყვანა, სკოლებისა და საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, ბუნებრივი აირის მიწოდება სოფლებისთვის, სპორტული ინფრასტრუქტურის (სტადიონი, ტრენაჟორები) მშენებლობა/მოწესრიგება და ა.შ. რესპონდენტები არ ფიქრობენ, რომ ეთნიკური შემადგენლობის გამო, მათ სოფლებს ნაკლები ყურადღება ეთმობა ხელისუფლების მხრიდან.

საჭიროებები სოფლების წიწკანაანთსერის და ყიტაანის მაგალითებზე

სოფელი წიწკანაანთსერი

სოფელი წიკანაანთსერი ყველაზე მრავალრიცხოვანი სოფელია კახეთში, სადაც ოსები კომპაქტურად ცხოვრობენ (419 მოსახლე; 2014წ.) სოფლის მოსახლეობას სხვადასხვა სახის პრობლემასთან უწევს გამკლავება, როგორებიცაა, სარწყავი წყლის არქონა, გარემოს დაბინძურება, მიწების და საძოვრების სიცმირე/არქონა და ა.შ. საბჭოთა კავშირის პერიოდში სოფელ წიწკანაანთსერში ფუნქციონირებდა ეთერზეთების მეურნეობის ქარხანა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიხურა და ქარხნის საკუთრებაში არსებულ მიწებს მოსახლეობა სახნავ-სათესად და საძოვრებად იყენებდა. თუმცა, მოგვიანებით სოფელში არსებული სახნავ სათესი მიწები და საძოვრები კერძო პირებზე გასხვისდა:

> *„100 მეტრში ჩვენ აქ მინდვრები გვქონდა, სოფელია, ვთესავდით ყანას, სიმინდი მოგვყავდა და მიხეილ სააკაშვილი რომ მოვიდა ხელისუფლებაში, ისე გაასხვისა ადგილები, რომ ჩვენ არ გაგვიგია. ჩამოგვართვეს“ (53 წლის ქალი; წიწკანაანთსერი, ლაგოდეხი).*

მიწების ნაწილი მეზობელი სოფლის – ჭიკაანის ქართულ მოსახლეობას გადაეცა. მოგვიანებით წიწკანაანთსერის მოსახლეობას დაურიგდა მიწების მცირე ნაწილი 0.25 ჰა, ზოგიერთ ოჯახს მიწების ეს

რაოდენობაც არ მიუღია. მიწების სიმცირე მოსახლეობას ზღუდავს, რომ ისარგებლონ ეკონომიკური და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამებით. საძოვრების სიმცირის გამო მოსახლეობამ უარი თქვა მესაქონლეობაზე.

> *„ალბათ, 500 სული ძროხა დადიოდა სოფელში. ახლა ამ უბანში რომ დათვალო, რძე რომ გინდოდეს წამლისთვის, სოფელში რძეს ვერ იშოვი“ (53 წლის ქალი; წიწკანაანთსერი, ლაგოდეხი).*

ყვარლის ტბა, რომლითაც სოფელი წლების განმავლობაში სარწყავი წყლით მარაგდებოდა, კერძო პირმა შეიძინა და იქ ამჟამად სასტუმრო კომპლექსი ფუნქციონირებს. მოსახლეობის ინფორმაციით, ტბასთან აშენდა მცირე ზომის ჰესი, რის გამოც სარწყავი წყალი სოფელს შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება. სარწყავი წყლის სიმცირესთან ერთად, პრობლემას სარწყავი წყლის ხარისხიც წარმოადგენს, რადგან სოფლის ახლოს მდებარე ფრინველების ფერმა არ იცავს ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმებს და წყალს აჭუჭყიანებს – *„ნარჩენებს უშვებენ და ჩამოდის სახლების წინ, არხებში სადაც სარწყავი წყალია. გარემოს დაცვამ კი დააჯარიმა, მაგრამ ფული აქვს და იხდის“ (25 წლის კაცი; წიწკანაანთსერი; ყვარელი).* გამოუსადეგარი სარწყავი წყლის გამო, მოსახლეობის ერთ ნაწილს ვერ მოჰყავს ბოსტნეული ოჯახის მოხმარებისთვის. მეორე ნაწილი სასმელ წყალს აგროვებს მოსარწყავად, რაც დამატებით ფიზიკურ შრომას საჭიროებს – *„სარწყავ წყალს აგუბებს ჩემი ქმარი, მაგით რწყავს და მოგვყავს პომიდორი და სხვა ბოსტნეული“ (47 წლის ქალი; წიწკანაანთსერი; ყვარელი).* სასმელი წყლის სარწყავად გამოყენების გამო, ბოლო პერიოდში სასმელი წლის პრობლემაც შეიქმნა.

იმის გარდა, რომ სარწყავი წყალი გამოუსადეგარია, აქვს მძაფრი სუნი, ხოლო ფერმის საქმიანობა იწვევს ხმაურს. რესპონდენტების აზრით, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სოფელში ცხოვრებისთვის გაუსაძლისი პირობებია.

> *„ჩვენ საღამოს გარეთ ვერ გავდივართ, ფანჯრებს ვერ ვხსნით. ხანდახან გულის რევის შეგრძნებაც გვაქვს (47 წლის ქალი; წიწკანაანთსერი; ყვარელი).*

სოფელში არსებული პრობლემების მოგვარების მოთხოვნის მიზნით, მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა, თუმცა უშედეგოდ. თვითმმართველობა სოფელში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმირებულია, მაგრამ უმოქმედოა – *„გამგეობისთვის მიგვიმართავს, მაგრამ პასუხის არ არის“ (47 წლის ქალი; წიწკანაანთსერი; ყვარელი).* სოფლის მოსახლეობას კავშირი აქვს ფერმის ხელმძღვანელობასთან და ინტერვიუს ჩატარების დროს (07.08.2023) არსებობდა წინასწარი შეთანხმება იმის შესახებ, რომ მესაკუთრე აგვისტოში შეასრულებდა მოსახლეობის მოთხოვნას - გაწმენდდა არხს და დაიცავდა ეკოლოგიურ ნორმებს.

წიწკანაანთსერში ბოლო წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა საჯარო სკოლას და საბავშვო ბაღს. აგრეთვე, დამონტაჟდა სავარჯიშო ტრენაჟორები. სოფლელები აღნიშნავენ, რომ რეაბილიტაციის ხარისხი არ არის სახარბიელო, აგრეთვე, არ ხდება სათანადოდ ბაღისა და სკოლის მოვლა-პატრონობა. ზაფხულის პერიოდში მრავლადაა ქვეწარმავლები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მოსახლეობას, განსაკუთრებით, ბავშვებს. სოფლის შესასვლელში გზის მცირე მონაკვეთია რეაბილიტირებული, ხოლო სოფლის სიღრმეში გზა დაგებული არ არის და სანიაღვრე არხები მოუწესრიგებელია, რის გამოც, დიდი ნალექის დროს, გზა და სახლების ნაწილი იტბორება. მოსახლეობა უჩივის უპატრონო ძაღლების სიმრავლეს. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, უპატრონო ძაღლებს მძღოლები ტოვებენ გზაზე, სოფლის შესასვლელთან. რესპონდენტებს უჭირთ მძღოლების ქცევის ახსნა, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ მათ

ქცევაში შესაძლოა ოსების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ვლინდებოდეს. ოსების მიმართ 1990-იანი წლების აღქმები და განწყობები შესაძლოა ჯერ კიდევ ცოცხალი იყოს – *„სხვანაირად როგორ შეიძლება აიხსნას მათი ქცევა? (25 წლის ბიჭი; წიწკანაანთსერი; ყვარელი).*

სოფელი ყიტაანი

როგორც ყვარლის მუნიციპალიტეტში სოფელი წიწკანაანთსერი, ისე გურჯაანის მუნიციპალიტეტში სოფელი ყიტაანი ერთადერთი სოფელია, სადაც ოსები კომპაქტურად ცხოვრობენ. სოფლის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. როგორც სოფლის მცხოვრებლებმა აღნიშნეს, ყიტაანის მიწები უხვ მოსავლიანია და მოსახლეობას როგორც ერთწლიანი (ბოსტნეული), ისე მრავალწლიანი (ხეხილი) კულტურები მოჰყავს. იმის გამო, რომ საკმარისად არ არის გავრცელებული ინფორმაცია სოფლის მეურნეობის და ეკონომიკური სახელმწიფო პროგრამების შესახებ, მიწის დასამუშავებლად მოსახლეობას სესხი კერძო საფინანსო ორგანიზაციებიდან (ბანკებიდან) გამოაქვს.

> *„როცა მოწამვლა გვჭირდება, კრედიტი გამოგვაქვს ბანკებიდან, ახლა „თიბისიდან“ გამოვიტანე 2 000 ლარი შხამ-ქიმიკატებისთვის. წლის ბოლოს ვფარავთ კრედიტს. დიდ ვალს ვერ გამოვიტან, რადგან მერე ვერ გადავიხდი. სახელმწიფო პროგრამების შესახებ არ მაქვს ინფორმაცია. მიწის მოხვნაში და შეწამვლაში ვიყენებთ სესხს. მეზობელი არ გვართმევს ფულს და შეწამვლაში გვეხმარება“ (68 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი).*

სოფლისთვის ძალზე დიდ პრობლემას წარმოადგენს სასმელი წყლის უქონლობა. სოფლის მოსახლეობას სასმელი წყალი რეზერვუარის მეშვეობით მიეწოდება – *„ონკანში წყალი არ მოდის. სასმელი წყლის პრობლემაა დიდი. ქუჩაში მოდის რეზერვუარი, დგას გზაზე და ვავსებთ“ (55 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი).* სოფელში ფუნქციონირებს სოფლის ამბულატორია, სადაც ექიმი კვირაში რამდენიმე დღე მუშაობს. ამბულატორია პირველად დახმარებას აწვდის და დანიშნულებას აძლევს ჯანმრთელობის პრობლემის მქონე სოფლის მოსახლეობას. სოფელში ელექტრო გაყვანილობა დაზიანებულია, რის გამოც სოფელს ელექტროენერგია შეფერხებით მიეწოდება, განსაკუთრებით ცუდი ამინდის დროს.

დაახლოებით 15 წელია სოფელ ყიტაანში აღარ ფუნქციონირებს სკოლა. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, სკოლა იმიტომ დაიხურა, რომ გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრს უფრო მეტად აწყობდა, რომ სკოლა სოფელ ჩუმლაყში ყოფილიყო, რადგან მასწავლებლების ძირითადი კონტინგენტი სხვა სოფლებიდანაა. მანძილი სოფელი ყიტაანიდან სოფელ ჩუმლაყამდე ექვსი კილომეტრია. ბავშვებს ტრანსპორტი ემსახურება, თუმცა, უმცროსს კლასელებს სწავლა 12:30 ზე უმთავრდებათ და ამიტომ ტრანსპორტით სახლში დასაბრუნებლად უწევთ უფროსი კლასელებისთვის საათნახევარი დალოდება. სოფელში ბოლო წლებში გაკეთდა სტადიონი და დამონტაჟდა ტრენაჟორები ფიზიკური აქტივობებისთვის. სოფელში საბავშვო ბაღის გარდა, სხვა საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულება არ ფუნქციონირებს. რესპონდენტებმა გაიხსენეს საბჭოთა კავშირის პერიოდში მოქმედი კულტურის ცენტრი, სადაც სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურული ღონისძიებები იმართებოდა – *„ფილმებსაც უშვებდნენ, წრეებიც და ბიბლიოთეკაც იყო“ (55 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანი).* იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა (72%;

2014წ.) ეთნიკური ოსია, სათემო ცენტრის არსებობა ხელს შეუწყობდა ოსური იდენტობის (ოსური ენა და ტრადიციები) შენარჩუნებას.

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში ოსების შევიწროების პერიოდში სოფლის ოს მოსახლეობას ჩამოართვეს სასოფლო-სამეურნეო მიწები. მართალია გარკვეული წლების შემდეგ მიწები დაუბრუნეს, თუმცა, სოფლის მოსახლეობის ერთ ნაწილს ამ დრომდე არ აქვს იურიდიულად გაფორმებული და ელოდებიან მიწების სისტემურ რეგისტრაციას. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ იუსტიციის სამინისტროსთან პრობლემები არ შექმნიათ.

> *„იანვარში უნდა ყოფილიყო უფასო რეგისტრაცია, მაგრამ გადაიდო. იუსტიციაში არავინ ინტერესდება ეროვნებით. ყველას თანაბრად ემსახურება“ (55 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი).*

ოსური იდენტობა

ოსურ ტრადიციებზე საუბრისას რესპონდენტების ერთმა ნაწილმა აღნიშნა, რომ კახეთის ოსი თემი ძირითადად ქართული ტრადიციების მიხედვით აღიზარდა და არ აქვთ ქართველებისგან არსებითად განსხვავებული წეს-ჩვეულები. რესპონდენტები ოსების ინტეგრაციის მაღალ ხარისხს სწორედ კულტურული სიახლოვით ხსნიან.

> *„სიმართლე გითხრათ, ჩვენ არ გვაქვს ოსური ტრადიციები. ჩვენ საქართველოში დავიბადეთ და ქართულ ტრადიციაზე ვართ აღზრდილები“ (47 წლის ქალი; წიწკანაანთსერი; ლაგოდეხი)*

მთავარი მახასიათებელი, რაც ოსებს ქართველებისგან განასხვავებს არის ოსური ენა, რომელიც აქტიურად გამოიყენება ოსური ოჯახების ყოველდღიურობაში. გასათვალისწინებელია, რომ რესპონდენტები ოსური ენის ცოდნაში მოიაზრებენ სასაუბრო ენის ცოდნას და ნაკლებად ოსურად კითხვასა და წერას – *„რამდენი ხანია არც დამიწერია და არც წამიკითხავს. ასე მგონია, ვეღარ წავიკითხავ“ (53 წლის ქალი; წიწკანაანთსერი; ყვარელი).* ოსურ ტრადიციებს შორის აღსანიშნავია სოფლის დღესასწაულის აღნიშვნა, რომლებსაც წარმართული ელემენტები ახლავს. მაგალითად, გურჯაანის სოფელ ყიტაანში აღინიშნება „ელიაობა“ – *„ელიაობისას ამინდს შესთხოვენ, რომ არ მოვიდეს სეტყვა, დაკავშირებულია უხვ მოსავლიანობასთან“ (55 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი).* „ელიაობა“ იმართება ელიას მთაზე, წითელი წყაროს მახლობლად. დღესასწაულების მნიშვნელოვანი ატრიბუტია სანთელი – *„ღვთისმშობლობაზე“ ვიკრიბებით სოფლის მოსახლეობა და ვანთებთ სანთელს. აჭარლებსაც ვეპატიჟებით“ (23 წლის ბიჭი; სოფელი არეშფერანი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი).*

სოფლის დღესასწაულების აღნიშვნის წესი ერთმანეთის მსგავსია. დღესასწაულის დროს ოსური კერძებით იშლება სუფრა –*„ყველას თავისი ძღვენი მიაქვს ღვინო, ქათამი, ხაჭაპური და სუფრა იშლება“ (44 წლის კაცი; სოფელი ხეჩილი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი). „ღვთისმშობლობას მინდორში ვქეიფობთ ეკლესიასთან. ელიაობას - ოჯახებში აღვნიშნავთ“ (55 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი).* განსხვავებულად აღინიშნება „კოსტაობა“ სოფელ არეშფერანში, რომელიც გამოირჩევა მასშტაბურობითა და მრავალფეროვანი აქტივობებით. საქმე ისაა, რომ

„კოსტაობის“ ორგანიზებაში მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია.

> *„თამაშები იმართება, ცხენის დოღები, ჭიდაობაც არის. ხანდახან ვაცხობთ ხაჭაპურებს. ერთობლივად ვმუშაობთ. ზოგჯერ ოსეთიდან ჩამოდიან დღესასწაულზე. სხვა სოფლებიდანაც მოდიან. ამ დღესასწაულის აღნიშვნა საკაშვილის დროს დაიწყო და სამხრეთ ოსების წარმომადგენლობა აორგანიზებს“ (48 წლის ქალი; სოფელი არეშფერანი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი).*

სხვა სოფლების დღესასწაულების აღნიშვნასა და ორგანიზებაში სახელმწიფო ინსტიტუტები არ მონაწილეობენ. აღსანიშნავია, რომ სოციალური კავშირების (ნათესაური, მეგობრული) შენარჩუნების მიზნით, სოფლის დღესასწაულები აღინიშნება მიგრაციაში, კერძოდ, ჩრდილოეთ ოსეთში. 2023 წლის 15 მაისს რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმება დადებითად აისახა კახეთის ოსებზე, რადგან გამარტივდა გადაადგილება – *„ჩემი რძალი და ჩემი ძმაც იყვნენ პირველად წასულები სოფლის დღეობაზე – წიწკანაანთსერობაზე ვლადიკავკაზში, რომელიც ივლისის ბოლოს ჩატარდა“ (46 წლის ქალი; სოფელი წიწკანაანთსერი; ყვარლის მუნიციპალიტეტი).*

ცხრილში #3 იხილეთ ინფორმაცია სოფლების მიხედვით დღესასწაულების დასახელებების და აღნიშვნის თარიღების შესახებ

ცხრილი #3

არეშფერანი (ლაგოდეხი)	**ხეჩილი, ფონა (ლაგოდეხი)**	**ყიტაანი (გურჯაანი)**	**წიწკანაანთსერი (ყვარელი)**	**ფიჩხოვანი, არგოხი (ახმეტა)**
რელიგიური დღესასწაული - მარიამობა; აღინიშნება 21 სექტემბერს	„სამება“ აღინიშნება აღდგომის მომდევნო დღეს ფონაში	„ელიაობა“ აღინიშნება ამაღლების შემდგომ ორშაბათს	„წიწკანაანთსერობა“; აღინიშნება ივლისის ბოლო კვირაში	„სოსლანობა“; აღინიშნება ფიჩხოვანში ნოემბრის პირველ კვირაში
სოფლის დღესასწაული - „კეცობია“; აღინიშნება ივნისის ბოლო კვირაში	გვარის - ხეთაგუროვების დრესასწაული; აღნიშნება ზემო ხეჩილში	„ღვთისშობლობა“ აღინიშნება ამაღლების დღესასწაულის შემდეგ ორშაბათს	„უსანეთობა“, აღინიშნება აღდგომიდან ერთ კვირაში	„კოსტაობა“ აღინიშნება ოქტომბერში, არგოხში
„კოსტაობა“ - კოსტა ხეთაგუროვის სახელობის დღესასწაული; აღინიშნება 15 ოქტომბერს				

კვლევაში მონაწილე ერთ-ერთმა რესპონდენტმა გაიხსენა ტრადიციული დღესასწაული, რომელიც დღესდღეობით სოფელში აღარ აღინიშნება.

„ჩემს ბავშვობაში აღინიშნებოდა შოიშოი. შობისთვის სპეციალურ ჯოხს გააკეთებდნენ და მინდორში ამტვრევდნენ მყრალაბალახს, ჯოხებს შემოაკრავდნენ მავთულებით და ანთებდნენ. ამით ეშმაკებს აფრთხობდნენ და კეთილ ანგელოზებს უხმობდნენ. ყველა რომ აანთებდა, სუფრა იშლებოდა. გარეთ იმართებოდა ქეიფი. წლების წინ აღინიშნებოდა, ახლა უკვე აღარ“ (55 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი).

ოსური ტრადიციის ნაწილია ოსური სამზარეულო. განსაკუთრებით დღესასწაულებზე ოსები ამზადებენ ოსურ ღვეზელს, რომელსაც ფიჩინი ჰქვია. ასევე, გამორჩეულია ოსური ლუდი და ხაჭაპური – ხაბიზგინა, რომლის რამდენიმე ვარიაცია არსებობს და მზადდება ცხიმიანი ყველისგან, კარტოფილისგან, ჭარხლისგან და/ან კომბოსტოსგან.

რესპონდენტების შეფასებით, ძირითადი განსხვავება, რაც არსებობს ჩრდილოეთ ოსეთის ოსებს, ცხინვალის ოსებსა და კახეთის ოსებს შორის, ვლინდება ტრადიციების დაცვის წესსა და ხასიათის თვისებებში – *„კახეთის ოსები უფრო რბილები არიან. ცხინვალის ოსები გაუტეხლები და ჯიუტები, ხოლო, ჩრდილოეთ ოსეთში ძალიან იცავენ ოსურ ტრადიციებს“ (47 წლის კაცი; სოფელი ფიჩხოვანი; ახმეტის მუნიციპალიტეტი).*

საგულისხმოა ის, რომ გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა, განსაკუთრებით ახალგაზრდები, მწირ ინფორმაციას ფლობენ დღესასწაულების წარმოშობისა და მათი მნიშვნელობის შესახებ. უფროსი ასაკის რესპონდენტები გულისწყრომას გამოხატავენ იმის გამო, რომ ოსური ტრადიციები (სტუმარ-მასპინძლობა, დღესასწაულების აღნიშვნა, კულინარია და ა.შ.) იკარგება და ძირითადად მათ მეხსიერებაშია შემორჩენილი.

ოსური ენა

კახეთში მცხოვრები 2,526-დან 1,953 (77.3%) ოსისთვის ოსური ენა მშობლიურია. 1729 (68.4%) ოსი თავისუფლად ფლობს ქართულ ენას[3]. აღსანიშნავია, რომ 2009 წელს იუნესკომ ოსური ენა დაასახელა გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფ ენებს შორის[4][5]. დღესდღეობით, ოსური ენა, როგორც არჩევითი საგანი ისწავლება კახეთის 3 სოფლის საჯარო სკოლაში. ეს სოფლებია – არეშფერანი, წიწკანაანთსერი და ხეჩილი-ფონა. სკოლებში სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს კვირაში ორჯერ უტარდებათ ოსური ენის გაკვეთილები – *„ოსურ ენას ჯამში 15 ბავშვი სწავლობს. 2 პირველ კლასშია, 1 მესამეში და ა.შ. ყოველწლიურად უფრო ცოტა ბავშვია კლასში“ (63 წლის ქალი; სოფელი ხეჩილი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი).* რესპონდენტების ინფორმაციით, მიგრაციის და სოფლების დემოგრაფიის ცვლილების ფონზე, ოსური ენის შესწავლის მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება – *„შერეული სოფელია. ახლები ვინც სახლდება იმათ, ოსური არ სჭირდებათ“ (53 წლის ქალი; წიწკანაანთსერი; ყვარლის მუნიციპალიტეტი).* საინტერესოა, რომ სოფელ არეშფერანში მცხოვრები

[3] 2014 წლის მონაცემები; საქსტატი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/739/demografiuli-da-sotsialuri-makhasiateblebi

[4] „როგორ იკარგება ოსური ენა“; რადიო თავისუფლება - https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90/32412867.html

[5] Georgia's Last Ossetian Classes https://chaikhana.media/en/stories/484/georgias-last-ossetian-classes

სასკოლო ასაკის ორი ბავშვის დედამ ადგილობრივ სკოლაში განათლების დაბალი ხარისხის გამო, ბავშვები ჩრდილოეთ ოსეთში გადაიყვანა – *„არეშფერანში ქართულად არის სწავლება და ოსურ გაკვეთილებს ხან ატარებენ და ხან არა. ამიტომ ჩემი შვილები წავიყვანე ვლადიკავკაზში. ჩემი ქმარი აქ (არეშფერანში) დარჩა“ (49 წლის ქალი; სოფელი არეშფერანი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი).* აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ოსური სოფლის სკოლაში ოსური ენა არასოდეს ისწავლებოდა. ეს სოფლებია ფიჩხოვანი, არგოხი და ყიტაანი. ოსები ენას სწავლობენ ოჯახში და მას ფლობს ყველა თაობა. თუმცა, გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ოჯახის უფროსებთან შედარებით, უმცროსები უარესად ფლობენ ოსურ ენას. რესპონდენტებს შორის იყვნენ ისინი, რომლებიც უმაღლეს განათლებას თბილისში იღებენ. ყოველწლიურად რამდენიმე ახალგაზრდა აბარებს კახეთის ოსური სოფლებიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

1990-იანებში მომხდარი კონფლიქტის გამოცდილებები

საბჭოთა პერიოდიდან დღემდე, ოსები საზოგადოებაში ყველაზე ინტეგრირებულ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ, თუ ინტეგრაციის გამსაზღვრელ კრიტერიუმებად ქართული ენის ფლობას, ურთიერთობების სიხშირეს ქართველებთან და შერეული ოჯახების შექმნის ტრადიციას მივიჩნევთ.[6] 1990-იანი წლების კონფლიქტების შესახებ საუბრისას, რესპონდენტებს გაუჭირდათ ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტის კონკრეტული მიზეზების დასახელება. რესპონდენტების შეფასებით, ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის არ არსებობდა დაძაბულობის და მით უფრო, ერთმანეთის მტრობის წინაპირობა. რესპონდენტები მწუხარებას გამოხატავენ იმის გამო, რომ ოსებსა და ქართველებს შორის მჭიდრო კავშირების არსებობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა დაპირისპირების თავიდან აცილება. კახეთის ოსური სოფლების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ეთნიკური ნიშნით შევიწროება ცალმხრივი იყო და ის ქართველებისგან მომდინარეობდა. რესპონდენტები ოსების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში აკისრებენ პასუხისმგებლობას 1990-91 წლების პოლიტიკურ ელიტას. კერძოდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს და გამორჩეულად საქართველოს პირველ პრეზიდენტს – ზვიად გამსახურდიას.

> *„ოსების მიმართ აგრესია ცალსახად იმდროინდელი მთავრობიდან წამოვიდა და სამწუხაროდ ამ ტალღას ადგილობრივი მოსახლეობა აჰყვა. რეალური ხელშესახები მიზეზი არ არსებობდა, რის გამოც შეიძლებოდა, რომ ოსების მიმართ ყოფილიყო ზიზღი. კონფლიქტამდე იყო ჩვეულებრივი ურთიერთობა. 24 წლის ვიყავი, არეულობა რომ დაიწყო და მანამდე მე არ მიგრძნია, რომ ოსი ვარ, ხაზგასმული არ ყოფილა. 180 გრადუსით შებრუნდა ხალხის აზროვნება იმ პერიოდში “ (55 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი)*

> *„ზვიადის ვაბრალებ მე. არ უნდა მომხდარიყო ოსებსა და ქართველებს შორის ეს ომი. იმიტომ, რომ უამრავი შერეული ოჯახია. არ არსებობს ოსური ოჯახი, სადაც ქართველი ან რძალი, ან სიძე არ იყოს“ (46 წლის ქალი; სოფელი წიწკანაანთსერი; ყვარლის მუნიციპალიტეტი)*

[6] „ოსები საქართველოში“ - https://www.files.ethz.ch/isn/106675/working_paper_45_geo.pdf

გამოკითხვაში მონაწილე ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ უკვე კონფლიქტის პერიოდში კახეთის ოსების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებებს ამძაფრებდა ცხინვალის რეგიონში ოსების მიერ ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებები, რაც ქართულ მოსახლეობაში შურისძიების სურვილს აღვივებდა. ომის პერიოდში კახეთში ოსების შესახებ ბევრი გადაუმოწმებელი ინფორმაცია ვრცელდებოდა:

> *„ომის დროს ერთ-ერთი ყვარლელი ქართველი ბიჭი დაუჭერიათ ცხინვალში. ჰოდა, აქაურმა ყვარლელმა ბიჭებმა დაიმუქრეს, ახლა წავალთო და ამოვხოცავთ ოსებს წიწკანაანთსერშიო. თუმცა არ შემოსულან. ჩვენი სკოლის დირექტორი იყო ფშავი, ავტორიტეტის მქონე ადამიანი და მან დააშოშმინა“ (47 წლის ქალი; სოფელი წიწკანაანთსერი; ლაგოდეხი)*

შიში, რომელიც 1990-იანების დასაწყისში ითესებოდა, აიძულებდა ოსებს, რომ სწრაფად მიეღოთ რადიკალური გადაწყვეტილებები, რაც უმეტეს შემთხვევაში საკუთარი საცხოვრებელი სახლის დატოვებაში გამოიხატა. როგორც კვლევის შედეგებით ვლინდება, უსაფრთხოების თვალსაზრისით ყველაზე მეტი გამოწვევა სოფელ არეშფერანში იყო, სადაც შევიწროების, ყაჩაღობისა და ქურდობის გარდა, ფიზიკური ძალადობის ერთეულ შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი. კახეთის ოს მოსახლეობაში არსებობდა ფიზიკური ძალადობის მოლოდინი, რადგან ვრცელდებოდა ინფორმაცია შიდა ქართლის ოსურ სოფლებში ძალადობის შემთხვევების შესახებ – *„ქარელში და გორში ოჯახებში შევიდნენ, იძალადეს და გაძარცვეს ოსური ოჯახები“ (70 წლის ქალი; სოფელი ხეჩილი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი).* იმ მიზნით, რომ ოსების მიმართ არსებული უარყოფითი დამოკიდებულება შერბილებულიყო, ოსების ერთმა ნაწილმა გვარების დაბოლოებები გადაიკეთა. სუფიქსები - „ევი/ევა“ გადაკეთდა „შვილით“. გვარების გადაკეთება ოსებს შესაძლებლობას აძლევდათ, რომ, მაგალითად, გაეგრძელებინათ სახელმწიფო სამსახურში მუშაობა, ნაკლებად, ან არ განეცადათ შევიწროება ყოველდღიურად და ა.შ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ გვარების გადაკეთების პრაქტიკა იყო საბჭოთა პერიოდშიც გავრცელებული, თუმცა, ნებაყოფლობითი იყო – *„საბჭოთა დროს გვარის გადაკეთება იძულებით არ ხდებოდა. არავის არ სჭირდებოდა დაძალება“ (80 წლის კაცი; სოფელი არგოხი; ახმეტის მუნიციპალიტეტი).* მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქართულ-ოსური ოჯახების ნაწილი საკუთარ თავს ეთნიკურ ქართველად აიდენტიფიცირებს.

ზვიად გამსახურდიას მმართველობის შემდგომი პერიოდი რესპონდენტების მეხსიერებაში დამახსოვრებულია კრიმინალური ქმედებებით (ქურდობა, ყაჩაღობა), რომელსაც სამხედრო ორგანიზაცია – „მხედრიონი“ ჩადიოდა სოფლებში. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის, რომ კრიმინალი გავრცელებული არ ყოფილა მხოლოდ ოსურ სოფლებში და ის ქართულ მოსახლეობასაც აწუხებდა –*„ყაჩაღობა იყო. ავტომატებით მოდიოდნენ და მანქანები მიყავდათ. იპარავდნენ. ეს მხედრიონის დროს იყო ასე. მაგრამ მარტო აქ არ ხდებოდა, ყველგან ხდებოდა ეს“ (47 წლის კაცი; სოფელი ფიჩხოვანი; ახმეტის მუნიციპალიტეტი).*

ინტერვიუების დროს რესპონდენტებმა გაიხსენეს ქართველების მიერ ოსების შევიწროების არაერთი როგორც პირადი, ისე მათი ნათესავებისგან და ახლობლებისგან მოსმენილი ისტორიები. რესპონდენტების მიერ მონათხრობი ამბები ერთმანეთის მსგავსია. რესპონდენტებს შორის თითქმის არ ყოფილან ისეთები, რომელთა ოჯახებსაც არ განუცდიათ შევიწროება, და/ან სხვისგან არ სმენიათ შევიწროების გამოცდილების შესახებ. გამონაკლისს წარმოადგენენ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები, რომლებსაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმ პერიოდში მომხდარი ამბების შესახებ. ცხრილში #4

მოცემულია 20 ამბავი ციტატების სახით, რომლებიც გადმოსცემენ 1990-იანი წლების დასაწყისში მომხდარ ისტორიებსა და კახეთის ოსების ტრავმულ გამოცდილებებს. გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობა ინტერვიუების დროს ცდილობდა ღიად ესაუბრა და წარსულიდან გაეხსენებინა უსიამოვნო და მტკივნეული ამბები. ასევე, რესპონდენტები ცდილობდნენ დაესახელებინათ ოსების მიმართ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები.

ცხრილი #4.

1	*სოფელ აფენში მივდიოდით ჰურის საყიდლად, რადგან იქ იყო ფურნე (ჰურის საცხობი ღუმელი). ერთხელ, ღამის გათენება მოგვიწია და ბოლოს, როგორც იქნა, მოგვცეს ცომი. სახლში რომ მივიტანეთ გაფუჭებული გამოდგა. ოსობის გამო ქნეს ეს“ (ქალი 53 წლის; არეშფერანი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი)*
2	*„ავტობუსით რომ მოვდიოდი, სულ მეშინოდა, რომ მეთქვა აქ (ოსებით დასახლებულ სოფელთან) გამიჩერეთ-თქო. რადგან, მგზავრები დაიწყებდნენ – ეს ოსები, გადაშენდნენ, ამოწყდნენ და ასეთი რაღაცების ძახილს“ (51 წლის ქალი; სოფელი წიწკანაანთსერი; ყვარლის მუნიციპალიტეტი)*
3	*„1990 წელს სტუდენტი ვიყავი რუსთავში და თავს ვარიდებდი ყველას. მასწავლებელმა გამოაცხადა, ვინც აქ ოსი სწავლობს, მე იმას ნიშანს არ ვაღირსებო“ (51 წლის ქალი; სოფელი წიწკანაანთსერი; ყვარლის მუნიციპალიტეტი)*
4	*„ეთერზეთების მეურნეობის ქარხანა იყო აქვე ჩვენს სოფელში. დედაჩემი მუშაობდა იქ. ჰოდა, შეკრიბეს ქარხანაში მომუშავე ოსები და უთხრეს აქედან უნდა წახვიდეთო“ (51 წლის ქალი; სოფელი წიწკანაანთსერი; ყვარლის მუნიციპალიტეტი)*
5	*„ზვიადი რომ დადიოდა სოფლებსა და რაიონებში და მიტინგებს ატარებდა, იმ დღეს მე ახალსოფლიდან მივდიოდი რუსთავში. იქ ახალსოფელში იყო შეხვედრა. ზვიადმა თქვა, რომ უნდა გავასახლოთ ოსები და ლეკებიო. ეს ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი“ (53 წლის ქალი; სოფელი წიწკანაანთსერი; ყვარლის მუნიციპალიტეტი)*
6	*„ჩემი ქმრის კლასელები, კარგი მეგობრები, ჩვენს ოჯახში რომ შემოდიოდნენ და მამაჩემი ღამის 3 საათზე სუფრას რომ უშლიდა და დილამდე აქეიფებდა, ისინი ატარებდნენ მიტინგებს სოფლებში. ოსები უნდა ადგეთ და მოშორდეთ აქედანო. მამა რომ მოვიდა ქარხნიდან, ტირილი უნდოდა. მე ამას არ მოველოდიო“ (53 წლის ქალი; სოფელი წიწკანაანთსერი; ყვარლის მუნიციპალიტეტი)*
7	*„ბინა ზვიადის დროს წაგვართვეს რუსთავში. ცენტრში გვეკუთვნოდა ბინა. მამაჩემი ქარხანაში მუშაობდა მტვირთავად 20 წელი. ჩვენს ნაცვლად სხვა შეუშვეს ბინაში. ჩეხური ბინა იყო 4 ოთახიანი, ყველამ მიიღო ჩვენს გარდა. დედაჩემი ბოლომდე არ მეუბნება, თუ რა მოხდა. არ უნდა, რომ გულში ჩავიდო და ცუდად მოვიქცე. ბინის ზუსტი მისამართი არ ვიცი. დედა არ მეუბნება“ (40 წლის კაცი; სოფელი არეშფერანი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი)*
8	*1991 წელს რუსთავში წაგვართვეს ბინა. ბევრი ვიბრძოლეთ ბინის დასაბრუნებლად, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ჩემი მეუღლე მუშაობდა მშენებლობაზე რუსთავში. მე კიდევ მაღაზიაში ვმუშაობდი მოლარე კონტროლიორად. მეორე ბავშვზე ხუთი თვის ფეხმძიმე ვიყავი და მითხრეს 2 თვის გამო ერთი ოთახი რატომ უნდა დაკარგოო, დაელოდეო. ოთხი*

	ოთახი მეკუთვნოდა ორი ბავშვის ყოლის შემთხვევაში. დაველოდე და სწორედ ამ დრო აირია სიტუაცია. 1991 წელს წაგვართვეს უკვე თითქმის მიღებული ბინა. დაუკითხავად შესახლდა ქართული ოჯახი. გვარად ჯანელიძე იყო რუსთავის პრეფექტი. მას ვუთხარი, რომ მაქვს ტკბილი ოჯახი, მყავს ოსი მეუღლე და ორი შვილი მეთქი. ამ ჯანელიძემ კი მიპასუხა – მშვენიერი, ლამაზი გოგო ხარო, რა იყო ქართველებში დაილია ბიჭები ოსს რომ გაჰყევიო? ძალიან მეწყინა. ამის შემდეგ წავედით ორჯონიკიძეში“ (58 წლის ქალი; დედით ოსი; სოფელი არეშფერანი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი)
9	*„ხუთოსანი ოსები სამოსნები გახდნენ სკოლაში. სახელით არ მიმართავდნენ, არამედ ეროვნებით“ (53 წლის ქალი; სოფელი წიწანაანთსერი; ყვარლის მუნიციპალიტეტი)*
10	*მხედრიონის დრო იყო უკვე. გამოიარა მანქანამ და ეზოებში შეაგდეს ასაფეთქებლები. აფეთქებამ დაანგრია ფანჯრები და იმ დილით ადგნენ და წავიდნენ ოჯახები. მეც მაშინ გავატანე ჩემი შვილი ოსეთში“ (67 წლის ქალი; სოფელი არეშფერანი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი).*
11	*„თითქოს ხუმრობით გეკითხებოდნენ, ოსო, კიდევ აქ ხარ? ზოგს ეშინოდა ექიმთან მისვლის. ექიმიც იმავეს ეკითხებოდა – აქ ხარ კიდევ?“ (47 წლის კაცი; სოფელი ხეჩილი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი)*
12	*„იმ პერიოდში ვარკეთილში ვცხოვრობდი. ლიფტში ყოველ დღე მხვდებოდა წარწერა – ოსებო, სანამ დროა, წადით აქედან-ო“ (80 წლის კაცი; სოფელი არგოხი; ახმეტის მუნიციპალიტეტი)*
13	*„სოფელ მაღრაანში გამშვები პუნქტი დააყენეს და ვინც შემოდიოდა არგოხში, ამოწმებდნენ, ჩხრეკდნენ. ერთად რომ გაიზარდნენ, სკოლაში ერთად რომ დადიოდნენ, ისინი აკეთებდნენ ამას“ (80 წლის კაცი; სოფელი არგოხი; ახმეტის მუნიციპალიტეტი)*
14	*„1989 წელს თბილისში ვსწავლობდი და იმ პერიოდში მიტინგები იმართებოდა, სადაც ამბოდნენ, რომ არაქართველს 2 შვილზე მეტი არ უნდა ჰყოლოდა. დემოგრაფიის კონტროლი უნდა მომხდარიყო“ (55 წლის ქალი; სოფელი ფიჩხოვანი; ახმეტის მუნიციპალიტეტი)*
15	*„დედაჩემის ძმა გურჯაანში პროკურატურაში მუშაობდა და არეულობა რომ დაიწყო, გაათავისუფლეს ოსი ეროვნების გამო. შემდეგ, შევარდნაძის დროს, აღადგინეს და განაცდურიც აუნაზღაურეს. დღეს რომ რუსების მიმართ არის ნეგატიური დამოკიდებულება, 1990-იანი წლების პერიოდს მახსენებს. ეროვნებაზე არასწორია ყურადღების გამახვილება“ (47 წლის კაცი; სოფელი ფიჩხოვანი; ახმეტის მუნიციპალიტეტი)*
16	*„ჩემს მეუღლეს აიძულეს სამუშაოზე, რომ დაეწერა „რაშოტი“ (განცხადება სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ). მლესავად მუშაობდა. სამსახურში ავიწროებდნენ. სხვებთან შედარებით უფრო მეტს ამუშავებდნენ. ამიტომ, იძულებული გახდა დაენებებინა სამსახურისთვის თავი. ხომ ამდენი წელი გავიდა, მაგრამ, მე მაინც არ მეუბნება ბოლომდე, რა ხდებოდა მის სამსახურში, როგორ ექცეოდნენ მას“ (56 წლის ქალი; სოფელი არეშფერანი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი)*
17	*1990-იან წლებში დაიწყო არეულობა. მანამდე ჩემთვის არავის უგრძნობინებია, რომ ოსი ვარ. აი, ჩემთან კომუნიკაციისას მეტყობა რომ ოსი ვარ? ასე იყო, არავის ეტყობოდა. გარჩევა არ ყოფილა. 1990-იანების დასაწყისში ეთნიკურობის საკითხი წინ წამოიწია. ძალიან შეავიწროვეს სოფელი. მე მახსოვს იმ პერიოდში შუქი ჩაჭრეს და უშუქოდ ვცხოვრობდით.*

	აღარც პური მოდიოდა, ტრანსპორტიც აღარ დადიოდა ზუსტად იმიტომ, რომ უმრავლესობა სოფელში იყო ოსი ეროვნების. უცებ, მოულოდნელად გაჩნდა აგრესია. იმ პერიოდში ძალიან ბევრი ოჯახი გადავიდა ორჯონიკიძეში“ (ახლანდელი ვლადიკავკაზი) (55 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი)
18	*„იმ დროს, საბავშვო ბაღში ვმუშაობდი, როცა დაკეტეს და 6 წელი არ გახსნილა. ძალიან ცუდად მახსენდება ოსი მოსახლეობისგან რომ იცლებოდა სოფელი. მანქანებს რომ დატვირთავდნენ ოჯახები, ტიროდნენ. მეც მიფიქრია წასვლაზე. ჩემი დები ყველა წავიდა რუსეთში. ჩემი და მოვიდა წასვლის წინ და მითხრა წამოდიო. ჩემმა ქმარმა თქვა, რომ მომკლა აქედან წამსვლელი მე არ ვარო (68 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი)*
19	*„რომ აირია სიტუაცია, ჩემს ძმას ახალი ნაყიდი ჰქონდა სატვირთო მანქანა „ზილი“, რომლითაც ტვირთი გადაჰქონდა და ასე შოულობდა ფულს. ისეთი პირობები შეუქმნეს, რომ არ ამუშავებდნენ. გაყიდა მანქანა და წავიდა ჩრდილოეთ ოსეთში, შემდეგ ჩემი მეორე ძმაც წაჰყვა. მე არ წავედი, რადგან მშობლებს არ უნდოდათ წასვლა“ (50 წლის ქალი; სოფელი ფიჩხოვანი; ახმეტის მუნიციპალიტეტი)*
20	*„ახლა ყიტაანში დასასველებლად ვართ. ჩემი ქმარი თბილისში დაიბადა. სკოლაში უთხრეს, შენ ოსი ხარ და ამიტომ ზვიად გამსახურდიას სურათს არ მოგცემთო. სკოლაში ავიწროებდნენ და ამიტომ წავიდნენ თბილისიდან ჩემი მეუღლის მშობლები. ბინა გაყიდეს ძალიან იაფად და იმ ფულით „სორო“ იყიდეს ვლადიკავკაზში. ირონია ისაა, რომ ჩემს მეუღლეს მეორეჯერ მოუწია გვარის გადაკეთება, რადგან, ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო ანსამბლში ცეკვავდა და ქართული დაბოლოებით არ უნდა ჰქონოდა გვარი. მეორე მხრივ, ჩემს მეუღლეს ბევრი ნათესავი ჰყავს ქართველი და ამიტომ ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება არ აქვს.“ (35 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი)*

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ ირგვლივ იყვნენ ეთნიკური ქართველები (ძირითადად ნათესავები, მეგობრები და მეზობლები), რომლებსაც ოსების მიმართ არ შეუცვლიათ დამოკიდებულება უარყოფითისკენ და შევიწროების დროს ოსებს დახმარებას სთავაზობდნენ – *„დენი რომ ჩაგვიჭრეს და წყალი რომ არ გვქონდა სოფელში, ჩემი ქმრის მეგობარი გვთავაზობდა მასთან მისვლას, რომ თავი მოგვეწესრიგებინა“ (68 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანი).* თუმცა, ქართველები ძირითადად ოსებისგან ცდილობდნენ დისტანცირებას ან ავლენდნენ ოსების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას. საინტერესოა ის, რომ ინტერვიუების დროს რესპონდენტები 1990-იანი წლების დასაწყისში ოსების შევიწროებას არეულობით მოიხსენიებენ – *„ვლადიკავკაზში მასობრივად მაშინ წავიდნენ, როცა არეულობა დაიწყო..“ „ 24 წლის ვიყავი არეულობა რომ დაიწყო..“ „დედაჩემის ძმა გურჯაანში პროკურატურაში მუშაობდა არეულობა რომ დაიწყო..“*

რესპონდენტების შეფასებით, 2008 წლის ომის პერიოდმა კახეთში განსაკუთრებული დაძაბულობის გარეშე ჩაიარა.

> *„2008 წელს შევიწროვება არ ყოფილა, სიტყვიერი წამოცდენები კი იყო, მაგრამ სიმშვიდე იყო მთლიანობაში“ (55 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი)*

ინტერვიუების დროს, რესპონდენტებმა მხოლოდ რამდენიმე უსიამოვნო მაგალითი დაასახელეს.

> *2008-ში ბავშვი მყავდა თელავში წაყვანილი სტომატოლოგთან და არ მიმყვებოდა ექიმთან. ჯერ ნაყინი მაჭამეო და მერე შევიდეთო. საავადმყოფოს შესასვლელში იყო ნაყინი, უნდა მეყიდა და ბავშვი მელაპარაკება ოსურად. იქ სხვებიც იყვნენ და ერთი ამბავი ატეხეს. ისეთ დღეში ჩაგვაგდეს მაშინ"(55 წლის ქალი; სოფელი ფიჩხოვანი; ახმეტის მუნიციპალიტეტი)*

> *„2008 წლის პერიოდში ჩვეულებრივი სიტუაცია იყო, თუმცა ვრცელდებოდა ჭორები, რომ ამ სოფლიდან წასულ იოსები მეორე მხარეს იბრძოდნენ, რაც ტყუილი იყო, აქაურები კონფლიქტში არ ჩართულან. მსგავსი არაფერი არ ყოფილა. ამ სოფლიდან არავინ ყოფილა არც 91 და არც 2008 წელს" (55 წლის ქალი. სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი)*

ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ პოლიტიკურ ნიადაგზე უთანხმოების გამო, დაინგრა რამდენიმე შერეული, ქართულ-ოსური ოჯახი – *„2008 წელს პოლიტიკურ ნიადაგზე დაშორდა სამი ოჯახი, ქართულ-ოსური" (53 წლის ქალი; წიწკანაანთსერი; ყვარლის მუნიციპალიტეტი).* სოფელი არეშფერანის მკვიდრმა გაიხსენა 2008 წლის კონფლიქტის შემდგომ ვლადიკავკაზში ყოფნის პერიოდი:

> *„2008 წელს, კონფლიქტის შემდეგ ვიყავი ვლადიკავკაზის ბაზარში. მულებს ქართულად ველაპარაკებოდი და უცებ ვიღაცამ მწვდა თმებში უკნიდან და ყვირილი დამიწყო – მე ქართველებმა ქმარი მომიკლეს ცხინვალშიო და აქ როგორ ლაპარაკობ ქართულადო. ჩემმა მულებმა ძლივს გაგვაშველეს. ჩემზე უთხრეს, ამასაც წაართვეს ბინა ოსობის გამო რუსთავშიო. ესეც გამწარებულიაო. ეს ამბავი ცუდად მაგონდება" (ქალი 53 წლის; არეშფერანი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი)*

რესპონდენტების ერთ ნაწილში გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ 2008 წლის კონფლიქტის ხანგრძლივი პერიოდით გაგრძელება აუცილებლად გამოიწვევდა ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობის დაძაბვას. 1990 წლის დასაწყისიდან კახეთის ოსებს მუდმივად უწევდათ იმის ხაზგასმა, რომ არაფერი აკავშირებთ ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ოსებთან – *„სადაც ვმუშაობ, ჩამოაგდებენ ხოლმე ლაპარაკს, აინტერესებთ რას ვფიქრობ" (46 წლის ქალი; სოფელი წიწკანაანთსერი; ყვარლის მუნიციპალიტეტი).* ინტერვიუების დროსაც რესპონდენტები მკაფიოდ აღნიშნავდნენ, რომ აქ აქვთ კავშირები ცხინვალის რეგიონთან. მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა თქვა, რომ ნათესავი ჰყავს ცხინვალში. რესპონდენტების შეფასებით, კავშირები ცხინვალის რეგიონთან განსაკუთრებით 2008 წლის ომის შემდგომ შეწყდა.

გამოკითხვაში მონაწილე ახალგაზრდები არ ფლობენ და ზედაპირული ინფორმაცია აქვთ მშობლების და მათი ბებია-ბაბუების 1990-იანი წლების ტრავმული გამოცდილებების შესახებ. ოჯახებში თითქმის არ საუბრობენ 1990-იანებში მომხდარი ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ, რადგან, როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, ტრავმული ამბების გახსენება, ახალგაზრდებს სასიკეთოს არაფერს მოუტანს. გამოკითხვაში მონაწილე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა დაკვირვებით, წყენა უფროს თაობაში შემორჩენილია – *„ალკოჰოლს დალევენ და გაიხსენებენ ომებს, ძველ ამბებს. მე ვერიდები. ახალგაზრდებში არ გვქონია ომზე საუბარი. ომზე დღეს ლაპარაკს, რა აზრი აქვს?" (23 წლის ბიჭი; სოფელი არეშფერანი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი).* ოს ახალგაზრდების ერთ ნაწილს აქვს მიუკერძოებელი ინფორმაციის მიღების სურვილი 1990-იანი წლების და შემდგომი პერიოდის ისტორიული ამბების შესახებ.

„სკოლაში სხვადასხვა დამოკიდებულება და აზრია. განსხვავებული აზრები მომისმენია 90-იანი წლების მოვლენების შესახებ, თუ ვისი პასუხისმგებლობა იყო“ (19 წლის გოგო; სოფელი ფიჩხოვანი; ახმეტის მუნიციპალიტეტი).

დღესდღეობით, კახეთში ოსი თემის შევიწროება არ ხდება.

„ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობა კარგია. არანაირი დაძაბულობა არ არის ეთნიკურობის ნიადაგზე. ჯარში მსახურობისას არ ყოფილა განსხვავება. სერჟანტმა თქვა პირდაპირ, რომ ყველა ერთნი ხართო, ერთმანეთის დაჩაგვრა არ იყოსო“ (23 წლის ბიჭი; სოფელი არეშფერანი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი).

თუმცა, რესპონდენტების ერთ ნაწილში არსებობს შიში იმის, რომ პოლიტიკური ვითარების ცვლილების შემთხვევაში, დაძაბულობა ხელახლა წარმოიშობა – *„ახლა კონფლიქტი „დაკონსერვებულია“. პოლიტიკაში რაღაც რომ მოხდეს, შესაძლოა ყველაფერი (იგულისხმება კონფლიქტი) თავიდან დაიწყოს“ (55 წლის ქალი; სოფელი ფიჩხოვანი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი).*

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტებს არ აქვთ ხედვები კონფლიქტის მოგვარების შესახებ. ძირითადად ყურადღებას პოლიტიკოსების როლზე ამახვილებენ, რომლებმაც უნდა ითავონ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა *(„ჩვენ ვინ გვეკითხება“, „ზემოთ წყდება“ „როგორც პოლიტიკოსები გადაწყვეტენ, ისე იქნება“).* ხედვების არქონა შესაძლოა იმით აიხსნას, რომ კახეთის ოს თემს კონტაქტი არ აქვს კონფლიქტის რეგიონში მცხოვრებ ოს მოსახლეობასთან. შესაბამისად, არ უწევთ კონფლიქტების შესახებ მსჯელობა და ფიქრი.

მიგრაცია; კავშირები ჩრდილოეთ ოსეთთან და ცხინვალის რეგიონთან

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ საბჭოთა პერიოდში კახეთიდან ოსების მიგრაცია დაკავშირებული იყო უმაღლესი განათლების მიღებასთან, საბჭოთა ჯარში მსახურებასთან და ა.შ., ნაწილი უკან აღარ ბრუნდებოდა. 1990-იანებში დაწყებული მასობრივი ემიგრაცია ცალსახად იყო ოსების შევიწროებით განპირობებული. რესპონდენტების ერთი ნაწილი იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ოსების შევიწროების გარეშეც მოხდებოდა ოსების მიგრაცია, მაგრამ: 1) ნაკლები რაოდენობით და 2) არა ერთბაშად, დროის მოკლე პერიოდში – *„მე რომ ვიხსენებ, ძალიან მოუმზადებლები წავიდნენ სოფლის მცხოვრებლები“ (55 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი).* მიგრაციის წამყვანი ხელშემწყობი ფაქტორი იქნებოდა ოჯახების მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა.

გამოკითხვისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რის მიხედვით მიიღებოდა გადაწყვეტილება მიგრაციის სასარგებლოდ. როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, კახეთის ოსების დარჩენის შესახებ გადაწყვეტილებას ძირითადად განსაზღვრავდა შემდეგი ორი ფაქტორი – 1) ოჯახების ეთნიკური შემადგენლობა – *„შერეული ოჯახები თავს უსაფრთხოდ უფრო მეტად გრძნობდნენ, ვიდრე ოსური ოჯახები“ (63 წლის ქალი; სოფელი ფონა; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი)* 2) ოჯახის უფროსი წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობა – *„მაშინ ჩემი მშობლები ცუდად იყვნენ და ვერ მივატოვებდით. ამიტომ არ გვიფიქრია წასვლაზე“ (65 წლის კაცი; სოფელი ფონა; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი). აგრეთვე, დასახელდა* ჩრდილოეთ ოსეთის კლიმატური პირობები – ნოტიო ჰავა, რასთანაც ადაპტირება უჭირდათ ქრონიკული დაავადებების მქონე ოსებს.

„ორჯონიკიძეში (ახლანდელი ვლადიკავკაზი) ლტოლვილად ჩავბარდით. ნათესავი ან ახლობელი არ გვყოლია იქ. მე ბევრი ოპერაცია მქონდა გაკეთებული და იქაურ კლიმატს ვერ შევეგუე. ხშირად ვხვდებოდი ავად. ჩემმა მეუღლემ მითხრა, შენ თუ არ მეყოლები გვერდით, მეც არ მინდა აქ ყოფნაო. 1999 წელს დავბრუნდით და არეშფერანში დავსახლდით“ (55 წლის ქალი; სოფელი არეშფერანი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი)

1990-იანი წლების დასაწყისში კახეთის ოსების აბსოლუტური უმრავლესობა მიგრირდა რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ, ჩრდილოეთ ოსეთში. ერთ ნაწილს იქ ნათესავები ჰყავდა, მეორე ნაწილს კი კავშირები არ ჰქონია. ახალ გარემოსთან ადაპტაციამ განსაკუთრებული სირთულეების გარეშე ჩაიარა – *„კარგად მიგვიღეს, იმის მიუხედავად, რომ ბევრი ხალხი მიაწყდათ და ეკონომიკურადაც გაუჭირდათ“ (55 წლის ქალი; ფიჩხოვანი).* მიგრანტების მთავარი პრობლემები და გამოწვევები იყო სოციალური და ეკონომიკური ხასიათის. ქართულ-ოსური პირველი კონფლიქტის დროს, ჩრდილოეთ ოსეთში მიგრირებულ ოსებს მიენიჭათ ლტოლვილის სტატუსი, რომლითაც შესაძლებლობა მიეცათ ესარგებლათ სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური მომსახურებით. მაგალითად, ნაწილს უსასყიდლოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლები და მიწის ნაკვეთები.

ის ოსი ემიგრანტები, რომლებსაც გვარები გადაკეთებული ჰქონდათ ქართული გვარის დაბოლოებებით, ჩრდილოეთ ოსებისგან კრიტიკულ შეფასებებს იღებდნენ და იმიგრანტ ოსებს გვარების შეცვლისკენ მოუწოდებდნენ.

„ჩვენი ნათესავები არიან ჯიოევები, რომლებიც 1990 -იანებში ჯიოშვილები გახდნენ. შემდეგ ოსეთში გადავიდნენ და იქ მათი ბავშვები რომ წამოიზარდნენ შენიშვნებს აძლევდნენ ყველგან, ეუბნებოდნენ, ოსი თუ ხარ, იყავი შენს გვარზეო. მშობლებს საქართველოში შეექმნათ პრობლემა ოსური გვარის გამო, მათ შვილებს კი რუსეთში, ქართული გვარის გამო“ (53 წლის ქალი; წიწკანაანთსერი, ლაგოდეხი)

დღესდღეობით, სოფლად არსებული უპერსპექტივო გარემო (დასაქმების და საკუთარი თავის რეალიზაციის შეუძლებლობა), ოს ახალგაზრდებს უბიძგებს მიგრაციისკენ. როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, ახალგაზრდები დასაქმების ან/და განათლების მიღების მიზნით მიგრირებენ: 1) ჩრდილოეთ ოსეთში, ან თბილისში, სადაც, როგორც წესი, ახლო ნათესავები ეგულებათ და 2) ევროპის ქვეყნებში (ინტერვიუებში დასახელდა შემდეგი ქვეყნები: პოლონეთი, ნიდერლანდების სამეფო და ირლანდია).

„ჩემი მეუღლე ღვინის ქარხანაში მუშაობს. ჩემი ბიჭებიც მუშაობდნენ ღვინის ქარხანაში. უფროსი ოპერატორად და მეორე მუშად, ღვინოს ამუშავებდა. მაგრამ ხელფასი რომ არ ჰყოფნიდათ, ამიტომ წავიდნენ ნიდერლანდებში, სიმართლე რომ ვთქვათ, ცხოვრების საძებნელად წავიდნენ“ (46 წლის ქალი; სოფელი წიწკანაანთსერი; ყვარლის მუნიციპალიტეტი).

რესპონდენტების შეფასებით, კახეთის სოფლებთან შედარებით ჩრდილოეთ ოსეთში, განსაკუთრებით კი, ქალაქ ვლადიკავკაზში დასაქმების მეტი შესაძლებლობა არსებობს. კახეთში ძირითადად სოფლის მეურნეობის სფეროში დაბალანაზღაურებად ფიზიკურ სამუშაოზე საქმდებიან, ან იშვიათად საჯარო სექტორში ადმინისტრაციულ პოზიციებზე. ვლადიკავკაზში შრომის ბაზარი მრავალფეროვანია, ხოლო, შრომის ანაზღაურება კახეთის სოფლებთან შედარებით, გაცილებით მეტი. ამიტომაც, კახეთიდან ახალგაზრდა ოსების მიგრაციას დღემდე უწყვეტი ხასიათი აქვს.

„მიგრაციის მიზეზი დღეს ეკონომიკურია. აქ ბევრს შრომობენ ფიზიკურად, ბანკებში ვალები აქვთ და შემოსავალ ცოტაა. შრომა არ უფასდებათ. ამიტომ ახალგაზრდები გადიან სოფლიდან. მხოლოდ ვლადიკავკაზში არა, სხვაგანაც მიდიან. ახალგაზრდები აქ პერსპექტივას ვერ ხედავენ“ (23 წლის ბიჭი; სოფელი არეშფერანი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი)

რესპონდენტების შეფასებით, ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ახალგაზრდა თაობა საკუთარ მომავალს საქართველოს არ უკავშირებს. განსხვავებულია საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენელთა პოზიცია. მათი ნაწილი ფიქრობს საქართველოში დაბრუნებას საპენსიო ასაკის მიღწევის შემდგომ.

„ვლადიკავკაზში ყველა ჩვენი ნათესავი ცხოვრობს, აქედან წასულები. ჩემი და ძმა იქ ცხოვრობს, ჩემი მეუღლის და-ძმებიც იქ არიან. ბიძაშვილებიც არიან იქ. აქაურობასთან აქვთ კონტაქტი. ჩამოდიან დღესასწაულებზე და დასვენების დროს. ჩემი ძმა არ ყიდის სახლს. ბავშვები რომ დაბინავდებიან, მერე ჩამოვალ და აქ ვიცხოვრებო, ამბობს. მეც ასე ვამბობ, უფროსი როცა დაქორწინდება, მერე მეც ჩამოვალ და აქ ვიცხოვრებ სულ. იქ (ჩრდ. ოსეთში) დარჩენაზე არ მიფიქრია, მაინც აქ მირჩევნია. (63 წლის კაცი; სოფელი არეშფერანი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი)

აღსანიშნავია, რომ პირველი ნაკადის (1990-91წწ.) მიგრანტები დარჩნენ საქართველოს მოქალაქეობის გარეშე, რაც, დღესდღეობით, მნიშვნელოვანი პრობლემაა ემიგრანტების იმ ნაწილისთვის, რომელიც საქართველოსთან ინარჩუნებს კავშირებს (ჰყავთ ნათესავები, გააჩნიათ მოძრავი/უძრავი ქონება და ა.შ.).

კახეთის სოფლებში მცხოვრებ ოსებს მჭიდრო კავშირები აქვთ ჩრდილოეთ ოსეთთან, სადაც, რესპონდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას ჰყავს ოჯახის წევრი, ახლო ან შორეული ნათესავი, მეგობარი ან ყოფილი მეზობელი მაინც. რაც შეეხება კავშირებს ცხინვალის რეგიონთან, მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ იქ ჰყავთ ნათესავები. ჩრდილოეთ ოსეთში მიგრირებული ოსები კონტაქტს ინარჩუნებენ მშობლიურ სოფელთან. მაგალითად, ფულს აგროვებენ და აგზავნიან მათი წინაპრების საფლავების მოსაწესრიგებლად. კახეთის სოფლებში ხალხმრავლობა არის დღესასწაულების და საზაფხულო არდადეგების დროს. საზაფხულოდ ისინიც ჩამოდიან სტუმრად, ვისაც გაყიდული აქვს საცხოვრებელი სახლები – *„სახლი ვისაც არ აქვს, რჩება კლასელთან, ნათესავთან. მონატრება აქვთ აქაურობის“ (47 წლის კაცი; სოფელი ფიჩხოვანი; ახმეტის მუნიციპალიტეტი).* რუსეთის ფედერაციაში საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის დაწესებამ გაამარტივა კავშირები – *„რთული იყო რუსეთის ვიზის გაკეთება. ფინანსებთან იყო დაკავშირებული და დროც ჭირდებოდა. ახლა ადვილია“ (65 წლის კაცი; სოფელი ფონა; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი).*

კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი რესპონდენტის მოსაზრებით, ოსების ნაწილი საქართველოში შესაძლოა იმ შემთხვევაში დაბრუნდეს, თუ რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში პოლიტიკური ვითარება დაიძაბება. რესპონდენტების შეფასებით, კახეთის სოფლებიდან ოსების მიგრაციის მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნება გამოიწვევს კავშირების შესუსტებას ჩრდილოეთ ოსეთის და კახეთის სოფლების ოს მოსახლეობას შორის – *„ყოველწლიურად სულ უფრო ნაკლებ ადამიანს აქვს კავშირი აქაურობასთან. მშობელი რომ უკვდებათ, კავშირიც წყდება“ (63 წლის ქალი; სოფელი ფონა; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი).*

დასკვნა

კახეთის სოფლად მცხოვრები ოსი თემის უმრავლესობა ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. სოფლის მეურნეობის შედეგად მიღებული მოსავალი ძირითადად ოჯახისთვის მოიხმარება და ნაკლებად ხდება მოსავლის რეალიზაცია. სოფლების მოსახლეობაში დასაქმების შესაძლებლობები მწირია. ოჯახებისთვის სტაბილურ ყოველთვიურ ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს სახელმწიფო პენსია, ხოლო, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის – სახელმწიფოს ფულადი დახმარება.

ერთ დროს ოსების კუთვნილ საცხოვრებელ სახლებში ცხოვრობენ ქართველი ეკომიგრანტები სვანეთიდან და აჭარიდან. ლაგოდეხის სოფლებში - ფონასა და ხეჩილში ეთნიკური ოსებისა და ქართველების გარდა, ცხოვრობენ აზერბაიჯანელებიც. ოსების სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან (ქართველებთან, აზერბაიჯანელებთან) ურთიერთობა არაერთგვაროვანია. როგორც წესი, ურთიერთობები დისტანციურია. სოფლებში ძირითადად ცხოვრობენ საშუალო და ხანდაზმული ასაკის ოსები. მიგრაციის შეუქცევადი ხასიათის გამო, შესაძლებელია იმის ვარაუდო, რომ 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები არსებითად მოძველებულია.

ოსური სოფლების მცხოვრებლებს როგორც საერთო, ისე ერთმანეთისგან განსხვავებული საჭიროებები აქვთ. საერთო საჭიროებებს შორის აღსანიშნავია სოფლის გზების რეაბილიტაცია, საძოვრების გამოყოფა, სარწყავი და სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ა.შ. ზოგიერთ სოფელს სპეციფიკური საჭიროებები აქვს. მაგალითად, სოფელ წინკანაანთსერში კერძო კომპანიის მიერ დაბინძურებული ეკოლოგიური გარემოს მოწესრიგება, სოფელ ყიტაანში სკოლის ფუნქციონირების აღდგენა და ა.შ. ოს თემს სოფლის საჭიროებებთან დაკავშირებით აქვს კომუნიკაცია სოფლის რწმუნებულთან. თუმცა, სოფლის რწმუნებული ძირითადად შუამავლის როლს ასრულებს მოსახლეობასა და მუნიციპალურ ხელისუფლებას შორის.

ოსი თემი სხვა თემებთან (პირველ რიგში, ქართველებთან) შედარებით პასიური და ნაკლებად მომთხოვნია ხელისუფლების მიმართ. მოსახლეობის პასიურობის მიზეზებად დასახელდა: ოსი მოსახლეობის დაბერება, 1990-იანი წლების დასაწყისში მიღებული ტრავმული გამოცდილებები და მმართველი პარტიის („ქართული ოცნება“) მიერ სოფლებში კოორდინატორების მეშვეობით მოსახლეობის განწყობებზე გავლენის მოხდენა. რესპონდენტები არ ფიქრობენ, რომ ეთნიკური შემადგენლობის გამო, ხელისუფლების მხრიდან ოსურ სოფლებს ნაკლები ყურადღება ეთმობა. რესპონდენტებმა კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტები დაასახელეს, რომლებიც ხელისუფლებამ ბოლო წლებში განახორციელა.

როგორც არჩევითი საგანი, ოსური ენა ისწავლება კახეთის 3 სოფლის საჯარო სკოლაში. ეს სოფლებია – არეშფერანი, წიწკანაანთსერი და ხეჩილი-ფონა (აღნიშნულ ორ სოფელს ერთი სკოლა ემსახურება). მიგრაციის ფონზე, ოსური ენის შესწავლის მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება. ოსური ენის მიმართ ინტერესის შემცირებას სოფლების დემოგრაფიული სურათის ცვლილება განაპირობებს. ოსები ენას სწავლობენ ოჯახებში და მას ფლობს ყველა თაობა. თუმცა, ახალგაზრდები უფროსებთან შედარებით, უარესად ფლობენ ოსურ ენას.

მთავარი ოსური ტრადიცია გამოიხატება სოფლის დღესასწაულის აღნიშვნაში, რომელსაც წარმართული ელემენტები ახლავს. განსხვავებულად აღინიშნება „კოსტაობა“ სოფელ არეშფერანში, რომელიც გამოირჩევა მასშტაბურობითა და მრავალფეროვანი აქტივობებით. საქმე ისაა, რომ „კოსტაობის“

ორგანიზებაში მონაწილეობას იღებს ადგილობრივი თვითმმართველობა და სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია. სხვა სოფლების დღესასწაულების აღნიშვნასა და ორგანიზებაში სახელმწიფო ინსტიტუტები არ მონაწილეობენ. სოციალური კავშირების (ნათესაური, მეგობრული) შენარჩუნების მიზნით, სოფლის დღესასწაულები აღინიშნება, აგრეთვე, ჩრდილოეთ ოსეთში. უფროსი ასაკის რესპონდენტები გულისწყრომას გამოხატავენ იმის გამო, რომ ოსური ტრადიციები (სტუმარ-მასპინძლობა; დღესასწაულების აღნიშვნა, კულინარია და ა.შ.) იკარგება.

რესპონდენტებს გაუჭირდათ 1990-იანი წლების დასაწყისში ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტის კონკრეტული მიზეზების დასახელება. რესპონდენტები მწუხარებას გამოხატავენ იმის გამო, რომ ოსებსა და ქართველებს შორის მჭიდრო კავშირების არსებობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა დაპირისპირების თავიდან აცილება. რესპონდენტებში დომინირებდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ოსების მიმართ სიძულვილი ცენტრიდან პერიფერიებში გავრცელდა, რომელიც აიტაცა სოფლად მცხოვრებმა ქართულმა მოსახლეობამ. კახეთის ოსური სოფლების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ეთნიკური ნიშნით შევიწროება იყო ცალმხრივი და ის ქართველებისგან მომდინარეობდა. იმ მიზნით, რომ ოსების მიმართ არსებული უარყოფითი დამოკიდებულება შერბილებულიყო, ოსების ერთმა ნაწილმა გვარების დაბოლოებები გადაიკეთა – სუფიქსები „ევი/ევა“ გადაკეთდა „შვილით“. გვარების გადაკეთება ოსებს შესაძლებლობას აძლევდათ, რომ, მაგალითად, გაეგრძელებინათ სახელმწიფო სამსახურში მუშაობა, ნაკლებად, ან არ განეცადათ შევიწროება ქართველებისგან და ა.შ. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის შემდგომი პერიოდი რესპონდენტების მეხსიერებაში დამახსოვრებულია კრიმინალური ქმედებებით (ქურდობა, ყაჩაღობა), რომელსაც სოფლებში სამხედრო ორგანიზაცია – „მხედრიონი“ ჩადიოდა. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კრიმინალს ეთნიკური ნიშნით არ ჰქონია ადგილი და ის ქართველებისთვისაც წარმოადგენდა პრობლემას. ინტერვიუების დროს რესპონდენტებმა გაიხსენეს ქართველების მიერ ოსების შევიწროების არაერთი როგორც პირადი, ისე მათი ნათესავებისგან და ახლობლებისგან მოსმენილი ისტორია. ოჯახში თითქმის არ საუბრობენ 1990-იანებში მიღებული ტრავმული გამოცდილებების შესახებ. რესპონდენტების შეფასებით, 2008 წლის ომის პერიოდმა კახეთში განსაკუთრებული დაძაბულობის გარეშე ჩაიარა.

1990-იანებში დაწყებული მასობრივი ემიგრაცია ცალსახად იყო ოსების შევიწროებით განპირობებული. რესპონდენტების ერთი ნაწილი იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ოსების შევიწროების გარეშეც მოხდებოდა ოსების მიგრაცია, მაგრამ ნაკლები რაოდენობით და არა ერთბაშად, დროის მოკლე პერიოდში. 1990-იანი წლების დასაწყისში კახეთის ოსების აბსოლუტური უმრავლესობა ემიგრირდა რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ, ჩრდილოეთ ოსეთში. ახალ გარემოსთან ადაპტაციის პერიოდში მიგრანტების მთავარი პრობლემები და გამოწვევები იყო სოციალური და ეკონომიკური ხასიათის. კახეთის ოსების დარჩენის შესახებ გადაწყვეტილებას ძირითადად შემდეგი ორი ფაქტორი განსაზღვრავდა: ოჯახების ეთნიკური შემადგენლობა და ოჯახის უფროსი წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობა (შერეული და ხანდაზმული ასაკის, ზრუნვის საჭიროების მქონე ოჯახები უფრო მეტად არ ტოვებდნენ სოფელს). დღესდღეობით, სოფლად არსებული უპერსპექტივო გარემო (დასაქმების და საკუთარი თავის რეალიზაციის შეუძლებლობა) ოს ახალგაზრდებს უბიძგებს ემიგრაციისკენ. ვლადიკავკაზში დასაქმების ბაზარი მრავალფეროვანია, ხოლო, შრომის ანაზღაურება, კახეთის სოფლებთან შედარებით, გაცილებით მეტი. ამიტომაც, კახეთიდან ახალგაზრდა ოსების მიგრაციას დღემდე უწყვეტი ხასიათი აქვს. რესპონდენტების შეფასებით, ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ახალგაზრდები საქართველოს საკუთარ მომავალს არ უკავშირებენ.

კახეთის სოფლებში მცხოვრებ ოსებს მჭიდრო კავშირები აქვთ ჩრდილოეთ ოსეთთან, სადაც ოსების აბსოლუტურ უმრავლესობას ჰყავს ოჯახის წევრი, ახლო ან შორეული ნათესავი, მეგობარი ან ყოფილი მეზობელი მაინც. რაც შეეხება კავშირებს ცხინვალის რეგიონთან, მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ იქ ჰყავს ნათესავები. კახეთის სოფლებიდან ოსების ემიგრაციის მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნების შემთხვევაში, შესუსტდება კავშირები ჩრდილოეთ ოსეთის და კახეთის სოფლების ოს მოსახლეობას შორის.

რეკომენდაციები

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა და სხვა შესაბამისმა პასუხისმგებელმა უწყებებმა უნდა იმოქმედონ სოფლის მოსახლეობის საჭიროებების უზრუნველსაყოფად (ეს არის საერთო საჭიროებებიც და სპეციფიკურიც – ცალკეული სოფლებისთვის).
- თვითმმართველობის ორგანოებმა სოფლები უზრუნველყოს სასმელი წყლითა (წიწკანაანთსერი, ხეჩილი, ყიტაანი) და სარწყავი წყლით (წიწკანაანთსერი, ფიჩხოვანი, არეშფერანი, ყიტაანი), რომ მოსახლეობამ შეძლოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სრულფასოვანი განხორციელება;
- სახელმწიფო ორგანოებმა ხელი შეეწყონ კულტურული/სათემო ცენტრების და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობასა და ფუნქციონირებას, რომ მოსახლეობას (განსაკუთრებით ახალგაზრდებს) ჰქონდეს არაფორმალური განათლებისა (მათ შორის, ოსური ენის შესწავლის) და ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრების შესაძლებლობა;
- სახელმწიფო ორგანოებმა მათი ზედამხედველობითი კომპეტენციების ფარგლებში შეისწავლოს და გამოასწოროს გარემოსდაცვითი მდგომარეობა სოფელ წიწკანაათსერში;
- სახელმწიფომ შეისწავლოს მიწისა და საძოვრების რესურსის დეფიციტთან და ისტორიულად უსამართლო გადანაწილებასთან დაკავშირებული გამოცდილებები და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ამ მიმართულებით სოფლის მოსახლეობის საჭიროებების გადაჭრას.
- სოფლის მოსახლეობას პროაქტიულად მიეწოდოს ინფორმაცია სოფლის მეურნეობის და ეკონომიკური სახელმწიფო პროგრამების შესახებ;
- სკოლებში ოსური ენის სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, საჭიროა, რომ შემუშავდეს სახელმძღვანელოები ოსურ ენაზე;
- ადგილობრივმა ხელისუფლებამ მხარი დაუჭიროს ოსების ტრადიციებს. კერძოდ, სოფლის მოსახლეობას დაეხმაროს სოფლის დღესასწაულების ორგანიზებაში, რაც ოსური ტრადიციების შენარჩუნებას დაეხმარება.
- ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს მულტიკულტურული პროგრამების დანერგვას, რომელიც ეთნიკური უმცირესობების კულტურულის ხილვადობას გაზრდის მუნიციპალიტეტში და გააღრმავებს თემთა შორის დიალოგსა და თანამშრომლობას. ეს განსაკუთრებით შეხება ლაგოდეხის შემდეგ სოფლებს – ფონას, ხეჩილსა და არეშფერანს, სადაც გვერდიგვერდ ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები (ქართველები, ოსები, აზერბაიჯანელები)

დანართი #1 საჭიროებები სოფლების მიხედვით

შენიშვნა: ციფრი 1 აღნიშნავს რესპონდენტების მიერ ინტერვიუების დროს დასახელებულ საჭიროებებს

საჭიროებები	**არეშფერანი** (ლაგოდეხი)	**ხეჩილო** (ლაგოდეხი)	**ფონა** (ლაგოდეხი)	**ყიტაანი** (გურჯაანი)	**წიწკანაანთსერი**	**ფიჩხოვანი** (ახმეტა)	**არგოხი** (ახმეტა)	**რესპონდენტების ციტატები**
საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (გათბობის სისტემის, რემონტის და ა.შ საჭიროება)	1	1			1			*„საცხოვრებელი პირობები გვაქვს ცუდი. პატარა ბავშვები გვყავს და ზამთარში სცივათ. სახურავი არ არის გადახურული. ტუალეტი გვაქვს გარეთ მოუწყობელი“ (40 წლის კაცი; სოფელი არეშფერანი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი)*
მცენარეთა დაცვის საშუალებების, მინერალური სასუქების, სასოფლო სამეურნეო ტექნიკის და ა.შ. ხელმისაწვდომობა	1					1		*„როცა შეწამვლა და მოხვნა გვჭირდება, კრედიტი გამოგვაქვს ბანკებიდან, ახლა თიბისიდან გამოვიტანე 2 000 ლარი შხამ-ქიმიკატებისთვის. წლის ბოლოს ვფარავთ კრედიტს“ (68 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი)*
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გადაცემა					1			*„სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწები რომ დარიგდა ჩვენს სოფელში, მხოლოდ 0.25 ჰექტარი მოგვცეს, რაც არ გვყოფნის. სხვა სოფლებში 1.25 ჰექტარი დარიგდა“ (ქალი 57 წლის; სოფელი წიწკანაანთსერი; ყვარლის მუნიციპალიტეტი)*

საჭიროებები	**არეშფერანი** (ლაგოდეხი)	**ხეჩილო** (ლაგოდეხი)	**ფონა** (ლაგოდეხი)	**ყიტაანი** (გურჯაანი)	**წიწკანაანთსერი**	**ფიჩხოვანი** (ახმეტა)	**არგოხი** (ახმეტა)	**რესპონდენტების ციტატები**
ეკოლოგიური გარემოს დაცვა					1			*„ბიზნესმენ პაპაშვილს ფერმა აქვს აქვე, რის გამოც სუნი დგას. მთელი ნარეცხი ჩაედინება არხში. წყალს ვერ ვიყენებთ. გარემოს დაცვამ ბევრჯერ დააჯარიმა, მაგრამ ფული აქვს და იხდის. ახლა ველოდებით რომ ეს არხები გაწმინდოს აგვისტოში. ამაზე შევთანხმდით“ (25 წლის ბიჭი; წიწკანაანთსერი; ყვარლის მუნიციპალიტეტი)*
სანიაღვრე არხების მოწესრიგება	1				1	1		*‘წვიმა რომ მოდის, ზემოდან როგორც ხევი, ისე მოდის. წყალი შემოგვდის ეზოებში და ნაკვეთებში, რადგან ვერსად ვერ გადის წყალი, გროვდება“ (55 წლის ქალი; სოფელი ფიჩხოვანი; ახმეტის მუნიციპალიტეტი)*
სოფლის გზების რეაბილიტაცია	1	1			1	1		*„წიწკანაანთსერში მხოლოდ ერთ ნაწილშია ასფალტი დაგებული“ (25 წლის ბიჭი; წიწკანაანთსერი; ყვარლის მუნიციპალიტეტი)* *„არეშფერანში ცენტრალური გზის გარდა სოფლის სხვა გზები მოწესრიგებული არ არის“ (55 წლის კაცი; სოფელი არეშფერანი; ლაგოდეხი)*
სასმელი წყლის მომარაგება		1		1	1			*„გვეუბნებიან, ზემო ხეჩილში სასმელი წყალს ვერ გამოვიყვანთ, ცოტა ოჯახი ცხოვრობს და ძვირიაო. განცხადება დავწერეთ, მაგრამ ყურადღებას არ გვაქცევენ“(65 წლის ქალი; სოფელი ხეჩილი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი)* *„ქუჩაში რეზერვუარი დგას და იქ ვავსებ სასმელ წყალს. ონკანში არ მოდის წყალი“ (55 წლის ქალი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი)*

საჭიროებები	**არეშფერანი** (ლაგოდეხი)	**ხეჩილო** (ლაგოდეხი)	**ფონა** (ლაგოდეხი)	**ყიტაანი** (გურჯაანი)	**წიწკანანთსერი**	**ფიჩხოვანი** (ახმეტა)	**არგოხი** (ახმეტა)	**რესპონდენტების ციტატები**
სარწყავი წყლის მომარაგება	1			1	1	1		*„სარწყავი წყალი ძალიან ცოტაა. ადრე არ გვქონდა პრობლემა, ჩალიანის ტბიდან (ამჟამად ყვარლის ტბა ჰქვია) მოგვეწოდებოდა წყალი. სარწყავი წყლის მილებიც ამოყარეს, გაყიდეს და დაგვტოვეს სარწყავი წყლის გარეშე“ (46 წლის ქალი; წიწკანაანთსერი; ყვარლის მუნიციპალიტეტი)* *„სარწყავი სისტემაც არ არის მოწესრიგებული, ძველ მილებში გაუშვეს წყალი და ჭუჭყიანია“ (55 წლის კაცი; სოფელი არეშფერანი; ლაგოდეხი)*
ელექტროენერგიის უწყვეტი მომარაგება				1				*„ცუდი გაყვანილობაა. პატარა ნიავი და უკვე ქრება დენი. ჩვენთან ქარხნებია ქვის სამტვრევი და იმათთან დენი არის სულ, ჩვენთან – არა. რატომ უნდა იყოს ასე?“ (56 წლის კაცი; სოფელი ყიტაანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტი)*
საძოვრების გამოყოფა		1	1		1	1		*„სოფელში საძოვრები აღარ გვაქვს. გაყიდეს. საქონლის ყოლას აზრი არ აქვს“ (63 წლის კაცი; სოფელი ფონა; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი)* *„აზერბაიჯანელებს ბევრი საქონელი ჰყავთ. გვერდითა სოფლიდან მოყავთ. ადგილი კი პატარაა. ამის გამო გვქონია შელაპარაკება“ (63 წლის ქალი; სოფელი ხეჩილი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი)*
ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა	1	1			1			*„ყვარელში არ ჰყავთ სპეციალისტები. ამიტომ მივდივართ თბილისში, თელავში, ან ლაგოდეხში“ (46 წლის ქალი; სოფელი წიწკანაანთსერი; ყვარელი)* *„საავადმყოფო არ არის, გველმა რომ გიკბინოს, კბილი აგტკივდეს, ვერ*

საჭიროებები	**არეშფერანი** (ლაგოდეხი)	**ხეჩილო** (ლაგოდეხი)	**ფონა** (ლაგოდეხი)	**ყიტაანი** (გურჯაანი)	**წიწკანანთსერი**	**ფიჩხოვანი** (ახმეტა)	**არგოხი** (ახმეტა)	**რესპონდენტების ციტატები**
								იზამ ვერაფერს“ (40 წლის კაცი; სოფელი არეშფერანი; ლაგოდეხი) *„კვირაში ორჯერ მოდის ექიმი და მესამე დღეს რომ დამჭირდეს, რა ვქნა?!“ (63 წლის ქალი; სოფელი ხეჩილი; ლაგოდეხი)*
სკოლის ფუნქციონირების აღდგენა				1				*„ყიტაანში ქართული სკოლა იყო სულ. ოსური არ ისწავლებოდა არც ერთი კლასი. ოსურს ოჯახებში სწავლობენ. სკოლა აღარ არის უკვე 15 წელია. ცოტა ბავშვი იყო და ამიტომ დახურეს ალბათ. სოფელ ჩუმლაყის სკოლაში დაიწყეს სიარული ბავშვებმა, რომელიც ყიტაანიდან 6 კილომეტრშია. ტრანსპორტი ემსახურებათ. უმცროს კლასელებს სწავლა 12:30 სთ-ზე უმთავრდებათ, ხოლო უფროს კლასელებს 14:00 სთ-ზე. ამიტომ უმცროს კლასელებს უწევთ ლოდინი.* *„ჩემი შვილიშვილები დადიან სკოლაში ჩუმლაყში. შორ მანძილზე უნდა გავიდეს ავტობუსთან. აქ რომ იყოს ახლოს, 10-15 წუთი დაჭირდებოდათ“ (68 წლის ქალი; ყიტაანი)*
სკოლებში ოსური ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება (ოსური ენის სახელმძღვანელოს შემუშავება)	1	1						*„სახელმძღვანელო არ გვაქვს ოსური ენის. ხანდახან ვლადიკავკაზიდან გვიგზავნიან. ასევე, გვაწვდის თსუ-ს პროფესორი ნაირა ბესტაევა. მაგრამ, ძირითადი სახელმძღვანელო არ გვაქვს, დავალება რომ მივცეთ ბავშვებს“ (63 წლის ქალი; ოსური ენის მასწავლებელი; სოფელი ხეჩილი; ლაგოდეხი)*
კულტურული /სათემო ცენტრის და სპორტული ინფრასტრუქტურის	1			1		1	1	*„ახალგაზრდებისთვის არაფერი არ ხდება. კარგი იქნება გვქონდეს კულტურის ცენტრი“ (23 წლის ბიჭი; სოფელი არეშფერანი; ლაგოდეხი)*

საჭიროებები	**არეშფერანი** (ლაგოდეხი)	**ხეჩილო** (ლაგოდეხი)	**ფონა** (ლაგოდეხი)	**ყიტაანი** (გურჯაანი)	**წიწკანანთსერი**	**ფიჩხოვანი** (ახმეტა)	**არგოხი** (ახმეტა)	**რესპონდენტების ციტატები**
მოწყობა და ფუნქციონირება								*„კულტურის სახლი გაარემონტეს სამი წლის წინ, მაგრამ დაკეტილია ძირითადად“ (30 წლის კაცი; სოფელი არგოხი; ახმეტა)* *„სოფელში არ არის სტადიონი და სკვერი“ (55 წლის კაცი; არეშფერანი; ლაგოდეხი)*
იურიდიული მომსახურების მიღება (მიწის ნაკვეთის გაფორმების, ორმაგი მოქალაქეების, ბინადრობის მიღების და ა.შ. შესახებ)	1				1			*„სოფლიდან 30-მდე მცხოვრებს აქვს მოქალაქეობის მიღებაზე მიმართული. წელს 6-მა მიმართა და ექვსივეს უარი მოუვიდა, შარშან 11 -მა მიმართა და 4 მისცეს ორმაგი მოქალაქეობა. დაკვალიანებაში და დოკუმენტების შეგროვებაში ჭირდებათ დახმარება“ (ქალი 57 წლის; წიწკანაანთსერი; ყვარელი)* *„ლაგოდეხში იუსტიციის სახლში მითხრეს, რომ საბუთები მოიტანეო. ქორწილების მოწმობა გადავათარგმნინე და მივიტანე, მაგრამ ისევ მითხრეს, რომ არ გვკუთვნისო“ (67 წლის ქალი; არეშფერანი)*